საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 228 (248) პარასკევი, 22 ნოემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

შეხვედრა ჟურნალისტებთან

20 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლებს — ქართველ ჟურნალისტებს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ ქორიძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი ზაურ გომართელი.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებრიობას გააცნეს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის გაუქმების შესახებ. აქვე დაისვა საკითხი, რომ საქინფორმის მაგივრად უნდა შეიქმნას თანამედროვე საინფორმაციო სააგენტო, რომელიც ოპერატიულად, მიზანდასახულად, მაღალპროფესიულ დონეზე მოამზადებს მასალებს, რათა შეებრძოლოს იმ დეზინფორმაციას და ცილისწამებას, რაც საქართველოს შესახებ იწერება ჩვენი ქვეყნის გარეთ და რაშიც დიდი წვლილი, სამწუხაროდ, ჩვენს თანამემამულეებსაც მიუძღვით.

შეხვედრაზე გაიმართა მწვავე, გულახდილი საუბარი შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ქართველი ჟურნალისტების მიზნებსა და ამოცანებზე, მათ უდიდეს როლზე ჩვენი დღევანდელობის ობიექტურად გაშუქებისა და მართებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო,

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქართველ ჟურნალისტებს

ქვეყანაში, საერთოდ ჩვენთვის ნაცნობ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების აწმყოშივე გააზრება (მითუმეტეს, პროგნოზების გაკეთება) ძალზედ ძნელია; პოლიტიკა ჭადრაკს ჰგავს: ზოგჯერ რიგითი მოჭადრაკე გროსმაისტერს სვლას იმიტომ უწუნებს, რომ მთლიანობაში ვერ იაზრებს ჩაფიქრებულ კომბინაციას... ერთი წუთით წარმოვიდგინოთ თუ როგორ შეაფასებდნენ თანამედროვენი **დავით აღმაშენებლის** სიმკაცრეს თანამოძმეთა, განდგომილ თანამოძმეთა მიმართ (დღემდეა შემორჩენილი მოწინააღმდეგეთა მიერ „მიძღვნილი" ეპითეტები). დიდმა დავითმა თავისი სიმკაცრე, როგორც კაცთაგანმა, თავადვე მძიმედ განიცადა და „გალობანი სინანულისანი" აღმოხდა, მონანიების ნიმუშად რომ შემორჩა შთამომავლობას...

წარსულ საუკუნეებში უფრო იოლი იყო პოლიტიკური ურთიერთობების გარკვევა და ამდენად, უფრო მარტივი იყო ამოსახსნელად ის რებუსები, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის ლიდერი შესთავაზებდა სხვებს.

თანამედროვე მსოფლიოში მრავალ სახელმწიფოთა ინტერესები უნდა იქნას გათვალისწინებული და გაცნობიერებული პოლიტიკური მოვლენების შეფასების დროს; ჩვენ კი, ქართველები, არაიშვიათად, ვეყრდნობით რა **მარტივ ინდუქციურ მსჯელობას,** გამოვიტანთ რაიმე დასკვნას და სხვა მოსაზრების მოსმენაც აღარ გვინდა; განსხვავებული აზრი, გინდაც პრეზიდენტისა იყოს, მოღალატეობრივი ან **დისკრეციული** გვგონია.. ასეთმა ამბიციურმა ქართულმა ხასიათმა ბევრი ნიჭიერი ქართველი იმ ცუდ მოჭადრაკეს დაამსგავსა, გროსმაისტერს რომ სვლას უწუნებს, ზოგიც ნებით თუ უნებლიეთ, კანონიერი ხელისუფლების დამხობის მოსურნეების გვერდით დააყენა.

კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: საქმეში ჩახედულთ მოეხსენებათ, რომ ყველა **ცივილიზებული** ქვეყნის ჟურნალისტი სიმართლეს ისეთი ფორმით ამბობს, რომელიც თავის სამშობლოს ზიანს არ მოუტანს — ყოველნაირად ცდილობს დაეხმაროს თავის ერს, ერის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, ამიტომაც აკრიტიკებს მას **კეთილმოსურნე ოპოზიციონერის** თვალით და თავისი ქვეყნის ნაკლზე სხვასთან არ ქილიკობს — სახელს არ უტეხს თავის ხალხს...

ახლა წარმოვიდგინოთ უცხოელის შთაბეჭდილება:

საქართველოს მოსახლეობამ 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში (იმპერიის ტერიტორიაზე პირველად რომ ჩატარდა) მაღალი პროცენტით უპირატესობა მიანიჭა „მრგვალ მაგიდას" სწორედ მისი ლიდერის ზვიად გამსახურდიას დიდი ავტორიტეტის გამო. 7 თვის შემდეგ იგივე მოსახლეობამ უფრო დიდი პროცენტით ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად აირჩია — ორი-სამი თვის შემდეგ კი ქართველ ჟურნალისტთა ერთი ნაწილი **მრავალპარტიული არჩევნების მოწინააღმდეგე** და **თანამდებობადაკარგულ** პირებთან ერთად ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოს დიქტატორი მართავს... ამ ყოველივეს შემხედვარე დაასკვნის: ან ერი არაა მზად ცივილიზებული წესებით ცხოვრებისათვის (ირჩევს დიქტატურას!) ან ინფორმატორები სცოდავენ... გასაგები მიზეზების გამო დასავლეთს ხელს არ აძლევს იმპერიის **სწრაფი რღვევა,** ამდენად, უცხოელთა გამოხატული „სიმპათია" დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხელისუფლების „ოპოზიციის" მხარეზეა (სხვა ფაქტორებიც მოქმედებს)... ამ დროს ჩვენებური კოსმოპოლიტები და ვულგარულად გააზრებული **ინტეგრაციის** მოსურნენი ცდილობენ ყველაფერი პრეზიდენტის პიროვნებას დააბრალონ... სამწუხაროდ ზოგ პატიოსან კაცს თავისი აზროვნების გამო სწორედ ეს ჰგონია სიმართლე; **ჩვენ სინამდვილე სხვანაირად გვესახება:**

დამოუკიდებლობის გზაზე საქართველომ ყველა აუცილებელი სვლა ზუსტად გააკეთა (არჩევნები, რეფერენდუმი, დამოუკიდებლობის აღდგენა, პრეზიდენტის ინსტიტუტი, ხელშეკრულებაზე უარის თქმა...); გზა გამოიკვლია მრავალ **აისბერგს** შორის ჩვენმა პატარა ნავმა, მაგრამ სამშვიდობო ჯერ შორსაა, შინააშლილობა და ეკონომიკური პრობლემები სერიოზულ საფრთხეს გვიქადის (ოპოზიცია აზვიადებს ჩვენს **ცალკეულ შეცდომებს** და ცდილობს ხალხის აყოლიებას; ამ მიზნით ოპოზიცია აპირებს სოციალური პრობლემების თავის სასარგებლოდ გამოყენებას, მათ პარტიულ ინტერესებს კი მშვენივრად იყენებს იმპერიული ცენტრი).. ერთი სიტყვით, მრავალწახნაგოვანი პოლიტიკური პროცესების მომსწრენი ვართ... ბევრისთვის ძნელია ყველა ჩაფიქრებული ვარიანტის გათვლა, ამიტომ ზოგი „ჟამთააღმწერელი" ცუდ მოჭადრაკეს ჰგავს, ზოგი მოვლენებს აფასებს თავისი პარტიული მრწამსის გათვალისწინებით, ზოგს ჰგონია, რომ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს აყენებს, ზოგიც გაუაზრებლად ხოტბას ასხამს ხელისუფლების თუ ოპოზიციის ნაბიჯებს (ან აკეთებს უპასუხისმგებლო განცხადებებს და **დათვურ სამსახურს** უწევს მათვე...

ერთმანეთის დაგესვლა უცხო არ არის ქართველთათვის, ამდენად საქართველოში დაბეჭდილი ცილისმწამებლური, ბოღმიანი წერილები კიდევ ასატანია; გულსაკლავია რუსეთის თუ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების გაზეთებში დაბეჭდილი **დამსმენური** წერილების ტონი და შხამი ჩვენს თანამემამულეთა გვარები რომ „ამშვენებს"; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჟურნალისტთა ეს ნაწილი თავად გვევლინება ქართველი ერის უფლებების შემლახავად („არ მოიშალა ქართულმა გენმა დამპყრობლის კარზე ხეტიალი")..

ნებისმიერ ქვეყანაში გარდამავალი პერიოდი ფსევდოგმირების — ყვარყვარეების — აღზევების პერიოდიცაა; რაინდობა, თვითშეწირვა ეროვნული ხელისუფლების მოსვლამდე იყო საჭირო და კიდეც იყვნენ გმირები (სამწუხაროდ, მათი ერთი ნაწილის ქმედება არ შეცვლილა პოლიტიკური ვითარების შეცვლის შესაბამისად; იქმნება შთაბეჭდილება, მაშინდელ მათ საზოგადოებრივ როლს შეეზარდა მათივე პიროვნული მე და დღეს ომიდან დაბრუნებულ **უფუნქციო** ჯარისკაცებივით ჩანან). ახლა, როცა ახალი სახელმწიფოს შენებაა საჭირო, ზოგი **ხელოვნურად** იქმნის წინააღმდეგობებს, რომ მათი გადალახვით გმირად წარმოჩნდეს; ზოგი 37-იან წლებში რეპრესირებულთა ხვედრის მომლოდინედ წარმოადგენს თავს და საზოგადოებას „წამებულის" სახით აფრთხილებს მოსალოდნელი რეპრესიების შესახებ; ზოგი გამოგონილი „ფაშისტური რეჟიმის" შეუდრეკელ მამხილებლად ცდილობს გამოჩნდეს, ამიტომ ყოველნაირად ილვწის დაამტკიცოს, რომ გამსახურდიამ შოვინიზმი აღორძინა (ერს რაღას ერჩიან?), ზოგმაც სამართალდამცველობა კომპარტიის დიქტატურის დამარცხების შემდეგ დაიწყო (სწორედ დიქტატურის დროს იყო თავად აღზევებული!)... ერთი სიტყვით, ჟურნალისტს დიდი ძალისხმევა სჭირდება დღეს, რომ გაარკვიოს ვინ არის ფსევდოგმირი და ვინ წესიერი კაცი... საქმეს ისიც ართულებს, რომ ეროვნული ხელისუფლების მოსვლით დაწყებული დემოკრატიული პროცესების კვლავად თავისუფლების დანატრებულნი **მეორე უკიდურესობაში** ჩავარდნენ; როცა ამაზე მიუთითეს, თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და შეიარაღებული ოპოზიციის გვერდით დადგნენ... მათ მიერ დანახული ზოგი ნაკლი, **ხარვეზი მართლაც არსებობს,** გამოსწორებაც აუცილებელია, მაგრამ არა არსებული სისტემიდან გასვლის გზით, არამედ რუდუნებითა და მოთმინებით: ერთი გაუმართავი დეტალის გამო მათ მთლიანი სახელმწიფო მანქანის გამოცვლა მოითხოვეს (მაშინ როცა სხვა, უკეთესი სისტემა არ არსებობს! ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობს ქართველი ერი, რაც არჩევნებმა წარმოაჩინა)... სწორედ მოთმინებით შეიძლებოდა მოგვარებულიყო ტელევიზიის პრობლემაც... არ გვინდოდა ჩვენი წერილი თუ მიმართვა მენტორულ ნოტებს „დაესერა"...

და ბოლოს, ჩვენი **მთავარი** სათქმელის შესახებ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს **ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის** მიზანია არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ასპექტით საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა და კანონის აღსრულებაზე კონტროლი, არამედ ჩვენს რესპუბლიკაში ქართველთა, აფხაზთა და ეროვნულ უმცირესობათა (ებრაელთა, რუსთა, სომეხთა, ქისტთა, აზერბაიჯანელთა და მრავალ სხვათა) უფლებების დაცვა და ჩვენი **ეროვნული ერთიანობის** მისაღწევად ყველაფრის გაკეთება. ამ საქმეში უპირველესი თანადგომა სწორედ ჟურნალისტთა ობიექტურ; ინფორმაციულ მასალებს და **ზეპარტიულ, ეროვნულ** პოზიციას შეუძლია... თქვენი კომენტარები თუ ინფორმაციები ფართო საზოგადოებრიობაში მოყვასის წინააღმდეგ წაქეზებას ან უკურეაქციას არ უნდა იწვევდეს; პარტიული ტენდენციურობით დათვურ სამსახურს არ უნდა უწევდეს ერს... საქართველოს მოსახლეობას ნუ დავქსაქსავთ, ნუ დავემსგავსებით ერთმანეთის მოქიშპე იმ მეომრებს, **საერთო მტერი** რომ დავიწყებიათ; ნუ გამოვიყენებთ დემოკრატიის ლოზუნგს დემოკრატიისკენ მიმავალი გზის წინააღმდეგ, **ზოგად საკაცობრიო იდეალები და ეროვნული იდეალები ხომ ერთი ფურცლის ორი გვერდია...**

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სახელით

ზაურ ქობალია,

ტარიელ ფუტკარაძე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, გარდამავალი პერიოდის თავისებურებანი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წინაშე სრულიად ახალ, განსხვავებულ პრობლემებსა და ამოცანებს აყენებენ. ეს უპირველესად შეეხება საინფორმაციო სამსახურების ისეთ მაკოორდინირებელ ორგანიზაციას, როგორიც არის საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველო". მისი საქმიანობის ამჟამინდელი პროგრამა, დებულებით გათვალისწინებული ფუნქციები, დანიშნულება და სტრუქტურა არ შეესაბამება 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ საქართველოში მომხდარ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ცვლილებებს, რის გამოც სააგენტო ქართველი ხალხისათვის ამ განსაკუთრებულ პერიოდში საკმარისი სისრულით ვერ ასახავს, მოსახლეობას ოპერატიულად და ვრცელი სპექტრით ვერ აწვდის სრულ ობიექტურ ინფორმაციას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე არსებითი ცვლილებების, ახალი ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელების, კერძოდ, საბაზრო სისტემაზე გადასვლის თაობაზე; სათანადო აქტიურობასა და დაბეჯითებას ვერ იჩენს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ გაჩაღებული დეზინფორმაციის კონტრპროპაგანდისათვის. ამ მიზნით სრულად ვერ იყენებს მის ხელთ არსებულ ფართო შესაძლებლობებს, სათანადოდ ვერ აშუქებს პარლამენტისა და ხელისუფლების საქმიანობის ამსახველ მასალებს.

ზემოაღნიშნულის გამო პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა სისტემის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და არსებული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველო";
2. საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" მუშაკებთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ბ. გუგუშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველი
ა. ლანდია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვაჟა ბორისის ძე აბაკელია საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 21 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. № 2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები ზოია ფერაძე და მურად გელოვანი განთავისუფლდნენ მოვალეობის შესრულებისაგან და მათ ნაცვლად დაინიშნონ კომისიის წევრებად:

დალი მახაშვილი — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი,

ნათელა არაბული — ვაკის რაიონის პრეფექტურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის მოადგილე.

2. № 44 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები პეტრე დანელია და არმენაკ საკაიანი განთავისუფლდნენ მოვალეობის შესრულებისაგან და მათ ნაცვლად დაინიშნონ კომისიის წევრებად:

ტარიელ ყაველაშვილი — საკრებულოს გამგეობის წევრი.

ავთანდილ ხიდაშელი — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ინჟინერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.

თბილისი. 1991 წლის 19 ნოემბერი.

საუბარი პრეზიდენტთან

საქართველოში სტუმრად იმყოფებიან თურქეთისა და ირანის დელეგაციები. მათ შეხვდა და ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია.

სურათზე: ირანის დელეგაციასთან საუბრის დროს.

ბ. დადვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს

განცხადება

ქართული ეროვნული არმიის შექმნასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო თხოვნით მიმართავს თადარიგის ყველა ქართველ და ქართული ენის მცოდნე არაქართველ ოფიცერს, ვისაც სურვილი აქვს იმსახუროს ეროვნულ არმიაში, მობრძანდნენ თავდაცვის სამინისტროში (9 აპრილის ქ. № 2, ოთახი 414) სამხედრო სამსახურის პირობების გასაცნობად.

თანამდებობებზე ოფიცრების დანიშვნა მოხდება მათი კვალიფიკაციის, გამოცდილების და სპეციალობის გათვალისწინებით.

ვთხოვთ აგრეთვე იმ ოფიცრების ოჯახის წევრებს, რომელთა ახლობლებიც საბჭოთა არმიაში მსახურობენ, შეატყობინონ მათ მისამართი, რათა სამინისტრომ გაუგზავნოს მოწვევა მათ და შესთავაზოს ეროვნულ არმიაში სამსახური.

ჩვენი ტელეფონია: 93-52-42.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველო

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელისა" და საქართველოს რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის გაზეთების საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს 1991 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით აიკრძალა საქართველოს კომპარტიის საქმიანობა და ნაციონალიზებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ქონება, თვითლიკვიდაცია გამოაცხადა საქართველოს ალკკ ორგანიზაციამ და — შეიცვალა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და პოლიტიკური სტრუქტურები, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, პრეფექტურები. საკრებულოები, რომლებიც ადრე მოქმედი სახელმწიფო სტრუქტურების სამართალმემკვიდრეებია. დადგენილების თანახმად ყოფილი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანო, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" ამჟამად „ახალგაზრდა ივერიელი" ცნობილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ორგანოდ — ახალგაზრდობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ამ დადგენილებით რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო და სხვა ადგილობრივი გაზეთები, რომლებიც წარმოადგენდნენ ყოფილი საქართველოს კომპარტიის, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასკომების ორგანოებს, ცნობილ იქნენ შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საინფორმაციო საშუალებებად.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად აქ დასახელებული საინფორმაციო საშუალებები სახელმწიფო რეგისტრაციას არ ექვემდებარება..

თითქმის ყველაფერზე და ყველაფრის ახლანდელი დეფიციტის პირობებში საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფა ძირითადი სასურსათო საქონლით. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა 20 ნოემბერს გამართული საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ამ საკითხის პირველ პუნქტად შეტანა. სხდომას უძღვებოდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი.

მინისტრთა კაბინეტმა არასაკმარისად ცნო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსა და სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მუშაობა მოსახლეობის სურსათით მომარაგებისათვის და დასახა შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს დაევალა ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და მიწოდებაში არსებული ჩამორჩენის მაქსიმალური ლიკვიდაციისათვის. ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად მან რესპუბლიკათშორისი მიწოდებების გზით უნდა უზრუნველყოს ალკოჰოლური სასმელებისა და სხვა სახეობათა პროდუქციის ნამეტის გამოყენება შაქარსა და მეცხოველეობის პროდუქტებზე ბარტერული გაცვლისათვის. მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ ასოციაციებსა და კოოპერატივებს პროდუქცია უნდა მიეცეთ მხოლოდ საბაზრო ფონდების სრული დასაქონლების შემდეგ. ორივე ეს სამინისტრო, აგრეთვე ცეკავშირი მკაცრად უნდა ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 7 სექტემბრის განკარგულებით პურისა და პურპროდუქტების წარმოების და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მათი მიწოდების შესახებ. ვაჭრობის სამინისტროს დაევალა მიმდინარე წლის დამლევამდე უზრუნველყოს რესპუბლიკაში სულ ცოტა 1500 ტონა კარაქის, ამდენივე ხორცისა და 25 ათასი ტონა შაქრის შემოზიდვა ბარტერისა და საქონლის ეკვივალენტური გაცვლის სხვა სახეობის, რესპუბლიკებთან ჰორიზონტალურ ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა დამყარების გზით. მან ყველაფერი უნდა იღონოს კარაქისა და შაქრის რესურსების ისეთი მოცულობით ფორმირებისათვის, რომ ნოემბერ-დეკემბერში მიაღწიოს მათს ნორმირებულ გაყიდვას თბილისსა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში. საახალწლო ვაჭრობის ორგანიზებული მოწყობისა და სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, ვაჭრობის სამინისტრომ სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსთან ერთად ამა წლის 1 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ქსელში ძირითად სახეობათა სასურსათო საქონლის. შემოტანის ურთიერთშეთანხმებული გრაფიკი.

მინისტრთა კაბინეტი დაეთანხმა რესპუბლიკაში რამდენიმე ახალი ერთობლივი საწარმოს შექმნას. მიღებულია საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან არსებული მრავალდარგოვანი ფირმის „ჰორიზონტის" წინადადება, რომ თბილისში შეიქმნას საქართველო-ესპანეთის ერთობლივი საწარმო „ალიანს-91" ახალგაზრდული მშენებლობისა და ახალგაზრდა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის რესპუბლიკური ფონდის „ნერგების" და ესპანეთის ფირმების „სუპერარეას" და ევროკომერცის" მონაწილეობით. მისი მიზანია მოაგვაროს აგურისა და კრამიტის, მოსაპირკეთებელ ფილებისა და ჭურჭლის წარმოება, აგრეთვე შექმნას მეცხოველეობის კომპლექსი და აწარმოოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები. საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმოს „დიავესტის" საქმიანობის სფერო, რომლის დამაარსებლები გახდნენ საქართველოს მხრივ კომერციული ფირმა „ვესტა", ხოლო ავსტრიის მხრივ — ფირმა „ბრუდერ ჰენი", მსოფლიოში პოლიგრაფიული მანქანებისა და მოწყობილობის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი, სარედაქციო-საგამომცემლო და პოლიგრაფიული მუშაობაა. მისი ამოცანაა უზრუნველყოს მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურის, პერიოდული და საბავშვო გამოცემების, სახელმძღვანელოების მაღალი პოლიგრაფიული დონე, რომელთა რეალიზაცია გათვალისწინებულია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

გაისიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ათიათასობით კომპლექტი სამზარეულო ინვენტარის გამოშვებას კისრულობს საქართველო-თურქეთ-უკრაინის ერთობლივი საწარმო, რომელიც რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს ქარხანა „საქადგილმრეწვმონტაჟრემონტის" დირექციის, წინადადებით იქმნება საქართველოს დედაქალაქში თურქეთის „ილმაზლარ ჰიდროლიკ მაკინა სანაის" ფირმისა და მეტალურგიული კომბინატის „ზაპოროჟფოლადის" მონაწილეობით. კიდევ ერთი ერთობლივი საწარმოა საქართველო-კანადის „ესაბი". იგი იქმნება აგრეთვე თბილისში მცირე საწარმოს-საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „საქიმპექსთან" არსებული ფირმის „საქმიანი საქართველოს" ბაზაზე საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებისა და კანადის „ინტერიმპექს ტრეიდინგ ინკის" ფირმის მონაწილეობით და განახორციელებს საშუამავლო ოპერაციებს საგარეო ბაზარზე. ამ საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ორგტექნიკის წარმოების, გაყიდვისა და სერვისის ორგანიზაცია, მსოფლიო ბაზარზე საქართველოს მარკით პროდუქციის მარკეტინგი, კონსულტაციები საგარეო ვაჭრობის საკითხებზე.

სრულდება დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის დავით გურამიშვილის გარდაცვალების 200 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ამ თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებათა მომწყობი კომისია, დამტკიცებულია ამ ღონისძიებათა გეგმა. შესაბამისი დავალებანი მიეცათ სამინისტროებს, დეპარტამენტებს, საქართველოს მწერალთა კავშირს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სხვა ორგანიზაციებს.

სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დებულება და სტრუქტურა. არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს, კოლეგიის შემადგენლობა. მოიწონეს პროექტი კანონისა „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" კანონის მიღებასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე". გადაწყვეტილია წარუდგინონ იგი რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად აგრეთვე ძალადაკარგულად არის მიჩნეული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა და საერთაშორისო ხელშეკრულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებთან დაკავშირებით, რომლებითაც რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების იარაღი, ტყვია-წამალი, გადაადგილების საშუალებანი, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ქონება, მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ოფიციალური განცხადება. მინისტრთა კაბინეტმა განიხილა რესპუბლიკის ცხოვრების სხვა საკითხები.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

მ. დ. ბალარჯიშვილის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

განთავისუფლდეს მერაბ დავითის ძე ბალარჯიშვილი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ბ. გუგუშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველი
ა. ლანდია.

ვითარება შიდა ქართლში

20 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე გორის რაიონის სოფელ ფრისში ოსმა ექსტრემისტებმა სროლა აუტეხეს ქართველ მოსახლეობას. დაჭრეს ამ სოფლის სამი მკვიდრი — ბიჭიკო მჭედლიძე, გიორგი მჭედლიძე და მილიციის თანამშრომელი გივი გაბოძე, რომლებიც გორის საავადმყოფოში მოათავსეს.

უკვე ათი დღეა ოსმა ექსტრემისტებმა გადაკეტეს ცხინვალი, რის გამოც სტიქიით დაზარალებულ სოფლებში ვეღარ შედის სამშენი მასალები და სხვა აუცილებელი საქონელი, ცხინვალში დისლოცირებული საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილები არავითარ ზომებს არ იღებენ გზის გასახსნელად.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

განვიხილავთ კანონპროექტს

მაქვს წინადადებები

სოფლის სტატუსის შესახებ კანონის პროექტის მე-6 თავში — „გარემოს დაცვა“ 29-ე პუნქტის პირველ აბზაცს უნდა დაემატოს სიტყვები: „თუ იგი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს“. რადგან თუ არსებობს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა, მაშინ სოფლის თვითმმართველობის ორგანოს არ უნდა ჰქონდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამგვარი გადაწყვეტილება ხომ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს ინტერესებს?

საჭიროა 30-ე თავში ამოღებული იქნას სიტყვა „შეამციროს“. კერძოდ, იქ აღნიშნულია, რომ „სოფლის თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვს შეამციროს ან შეაჩეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობა“. მაგრამ შემცირება არ ნიშნავს საწარმოს მავნე ფაქტორების გავლენის აღმოფხვრას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და გარემოზე. მაგალითად, თუ ზღვრული დასაშვები ნორმა მავნე ფაქტორებისა არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმას აღემატება 10-ჯერ ან 100-ჯერ, შემცირება მაინც არავითარ შედეგს არ მოგვცემს, იგი საბოლოოდ უნდა დაყვანილი იქნას ზღვრულ დასაშვები ნორმის ფარგლებში ან მის ქვევით.

ალბერ მორჩილაძე,
საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს შრომის ინსპექციის სამმართველოს უფროსი — მთავარი ტექნიკური ინსპექტორი.

რაც გამოგვრჩა

პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სოფლის სტატუსის შესახებ“ ფრიად მისასალმებელი დოკუმენტია, მაგრამ მასში არ არის ნახსენები საეკლესიო კუთვნილების სოფლები. ჩვენში სარწმუნოების აღორძინება ერის აღორძინების მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ ეს საკითხი არ უნდა გამოგვრჩეს.

ავთანდილ გიორგობიანი,
ქ. თბილისი

მოსაზრებანი სოფლის სტატუსის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის სტატუსის კანონის პროექტი, რომელიც 12 ოქტომბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა, მოითხოვს განმარტებებს და დამატებებს:

მე-11 მუხლში ლაპარაკია სოფლის თვითმმართველობის ორგანოს საერთო ზედამხედველობის შესახებ წარმოებასა და მეურნეობაზე. ხომ არ ნიშნავს, სოფლის მშრომელების საქმიანობაში ჩარევას და დიქტატს? თუ არა და მაშინ ეს მუხლი ამოსაღებია და მას თავისუფლად შეცვლის მუხლი 8.

ასევე მიუღებელია მე-12 მუხლი, რადგან სოფლის თვითმმართველობის ორგანო კოლმეურნეობის გამგეობისა და სოფლის ყოფილი საბჭოს მსგავსად ყველაფრის მაკონტროლებელი გამოდის.

მე-13 მუხლი გაურკვეველია, რადგან არ არის განმარტებული, რა იგულისხმება ადგილობრივი სახსრების ქვეშ. გადასახადები თუ სოფლის მთელი წარმოება? შემდეგ, რას ნიშნავს სოფლის ბიუჯეტი? რა სახსრებია ეს? სოფლის მოსახლეობის მთელი შემოსავალი თუ გადასახადებიდან დაგროვილი თანხა? თუ გადასახადებიდან დაგროვილი თანხაა, მაშინ რომელი გადასახადებიდან? სახელმწიფო, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის აკრეფილი? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ შემოგვაქვს კიდევ ახალი გადასახადი სხვა არსებული გადასახადების გვერდით? და თუ ეს ასეა, მაშინ სად არის იმის გარანტია, რომ, ხვალ და ზეგ კიდევ ახალ და ახალ გადასახადებს, არ შემოვიღებთ?

მე-14 მუხლის მიხედვით, არსებობს მიწის ერთიანი რესპუბლიკური ფონდი, მაშინ რაღა საჭიროა სოფლის ტერიტორიის გამოყოფა ცალკე? მით უმეტეს როცა მე-16 მუხლი განმარტავს „სახელმწიფოს, როგორც მიწის მესაკუთრის, უფლებამოსილებას სოფლად ახორციელებს თვითმმართველობის ორგანო“. სოფლისათვის ტერიტორიის გამოყოფას აზრი აქვს, თუ სოფლისათვის გამოყოფილი ტერიტორია სოფლის იქნება და უფრო ზუსტად სოფლის მაცხოვრებლების იქნება.

22-ე მუხლი საერთოდ ეწინააღმდეგება, ზემოთ მოყვანილ მუხლებს, რადგან როგორ შეიძლება სოფელი მის საზღვრებში არსებული ბუნებრივი რესურსების მფლობელი იყოს, როცა მიწა სახელმწიფოსია? ეს მუხლი გადასაკეთებელია.

29-ე მუხლი სოფლის თვითმმართველობის ორგანოს აკისრებს ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის გადასახადების დადგენას, რაც არ არის სწორი. ასეთი გადასახადი სახელმწიფომ უნდა დააწესოს და არა სოფელმა. მით უმეტეს, სოფლის თვითმმართველობის ორგანომ — არავითარ შემთხვევაში, რადგან ეს ორგანო შემდეგ სხვა გადასახადების დაწესებასაც მოითხოვს.

კანონის პროექტის მიხედვით, სოფლად არ ხდება კერძო საკუთრებაზე გადასვლა და შემოთავაზებულია მიწის იჯარით გაცემა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიწები სახელმწიფოსია და სოფლის თვითმმართველობის ორგანოს საშუალებით იჯარით აძლევს ცალკეულ პირებს, შესაძლოა გარეშე პირს ან ორგანიზაციას დასამუშავებლად, ხოლო ბევრს კი, მათ შორის ვისაც ადრე გლეხი ან კოლმეურნე ერქვა, დაეკარგა თავის სოფელში მიწაზე საკუთრების ყოველგვარი უფლება და იმედიც კი. ცხადია, მოგება სოფლის მიწებიდან სახელმწიფოსი და მეიჯარის იქნება და არა სოფლის ყველა მცხოვრებისა. იმ ხალხს ვისაც, ამათუიმ მიზეზებით არ შეხვდება მიწა იჯარით, სხვას რომ თავი დავანებოთ, ყველას არ ეყოფა სოფლის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი ნორმალური არსებობისათვის.

სოფლის სტატუსის შესახებ კანონის პროექტი წინააღმდეგობაშია მიწის რეფორმის შესახებ კანონის პროექტთან, რადგან რეფორმის პროექტი მიწის სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად ითვალისწინებს, მიწის კერძო და კოლექტიურ საკუთრებებსაც (იხ. რეფორმის მე-13 მუხლი).

სოფლის თვითმმართველობის ორგანო კანონის პროექტის მიხედვით სოფელში წარმოადგენს სახელმწიფოს ინტერესების დამცველს. მაშინ გაუგებარია, როგორღა იქნება იგი სოფლის ან გნებავთ მეიჯარის ინტერესების დამცველი. არადა, ორი მოწინააღმდეგე მხარეს ერთი დამცველი ვერაფრით ეყოლება, ეს დამცველი ვინ არჩეულიც გინდა იყოს.

ვფიქრობთ, დასმულ საკითხებზე საჭიროა მსჯელობა.

ბრიგოლ რურუა,
პროფესორი

განმარტება

დავიცვათ მიწოდებათა დისციპლინა

ორი მილიონი მანეთის ჯარიმის სანქციები წარუდგინა სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „თბილისღვინომ“ ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებს.

— საქმე ის არის, — განმარტა ეს ფაქტი ფირმის მთავარმა ინჟინერმა **ნოდარ ხუპატაშვილმა**, — რომ ჩვენი პროდუქციის შესყიდვისას სავაჭრო ქსელი არღვევს საბრუნი ტარის მოწოდების დისციპლინას, აფერხებს ან საერთოდ არ გვიბრუნებს ცარიელ ბოთლებს. მარტო უკანასკნელ ხანს ტარის უკმარმოწოდებამ სამ მილიონ ცალს გადააჭარბა. სწორედ ეს გახდა თბილისის მაღაზიებში ღვინის შეტანის შეფერხების მიზეზი, რადგან სასმელის ჩამოსხმისას ჩვენი საწარმოები იყენებენ დაბრუნებული ტარის 95 პროცენტს.

ცუდად არის აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ბოთლების დაბრუნების საქმეც. მაგალითად, ყაზახეთიდან ვერ მივიღეთ 330 ათასი ბოთლი, კრასნოდარის მხარიდან — 125 ათასი. ლიტვიდან მივიღეთ ცნობა, რომ იქ გაიზარდა ბოთლის ფასი — მანეთამდე — და ისინი უარს ამბობენ გადაგვიხადონ კომპენსაცია, თუმცა ჩვენი ტარისათვის 50-50 კაპიკი გადაიხადეს.

— რა ზომებს იღებთ წარმოების სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის?

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიღებთ ზომებს, ვაჯარიმებთ ბრალეულ ორგანიზაციებს, ვცდილობთ განვამტკიცოთ ფირმის ეკონომიკური მდგომარეობა...

— მხედველობაში გაქვთ ფასების ახალი მომატებაც?

— ეს მოსალოდნელი იყო. ეკონომიკა სერიოზულ კრიზისს განიცდის, გაძვირდა ნედლეული, კომპონენტები, რომელიც ხმარდება პროდუქციის გამომუშავებას და როგორც ყოველთვის ამის შედეგი — გაიზარდა ფასები.

რ. ახმეტელი
საქინფორმის კორ.

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემები

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი იხარჯება და უკანასკნელ დროს იგი წლიურად მილიარდზე მეტს შეადგენს.

კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ 1956 წელს იქნა მიღებული, საკოლმეურნეო პენსიების შესახებ კი — 1964 წელს და ორივე სახის პენსიონერთა საერთო რაოდენობამ 1970 წლისათვის 885 200 კაცი შეადგინა. დადგინდა მომსახურების ნორმატივები და შესაბამისად, დამტკიცდა საშტატო ერთეულები.

პენსიონერთა საერთო რაოდენობა წლითიწლობით იზრდებოდა და დღეისათვის 1.059.751-ს მიაღწია.

პენსიების მინიმალური ოდენობის მუშაობის სტაჟის, ხელფასის, საერთოდ გაანგარიშების წესის. შეცვლა და სხვადასხვა პენსიების გადიდება ხდებოდა, მაგრამ ისეთი მოცულობით, რთული, წვრილმანი და შრომატევადი გადაანგარიშებები, როგორც ეს ახალი საპენსიო რეფორმის (მცირე — 1989 წლის ოქტომბრიდან და დიდი — 1990 წლის ოქტომბრიდან) დაწყების შემდეგ მოხდა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ყველაზე უხნეს მუშაკებსაც არ ახსოვთ.

საპენსიო რეფორმამ სხვადასხვა სახის დახმარების შემოღება დაერთო, კერძოდ, ხელმოკლე ოჯახის ბავშვებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, ბავშვობიდან ინვალიდებისათვის, ე. წ. სოციალური პენსიები, ნამსახურობის პენსიები, შეღავათიანი, პერსონალური, მეცნიერ-მუშაკთა პენსიები, კომპენსაციები და სხვა.

პენსიონერთა და დახმარების მიმღებთა რაოდენობის ზრდის კვალობაზე სამუშაოს მოცულობა გაიზარდა, რასაც შესაბამისად შტატებისა და ხელფასების მომატებაც უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა — მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა დაჟინებით, დასაბუთებულად თხოვდა ამას იმ ინსტანციებს, სადაც ეს საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო. პირიქით, რესპუბლიკაში მმართველობითი ორგანოების მუშაკთა ოდენობის 50 პროცენტით შემცირება დაიწყო და მიუხედავად საპენსიო რეფორმის განხორციელებისა, რასაც მილიონზე მეტი საპენსიო დახმარების მიღება და პირადი საქმის გადასინჯვა უნდა მოჰყოლოდა და, არა მარტო გადასინჯვა, არამედ უფლების განსაზღვრა, თითოეული საბუთის გადახედვა და გაანგარიშება, რაც მთლიანად ჩვენს სინამდვილეში ხელით შრომას ემყარება, ასეთ დროს შტატების შემცირება სოცუზრუნველყოფის ორგანოებზეც გავრცელდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპენსიო რეფორმის განხორციელების დროისათვის სოცუზრუნველყოფის ორგანოები მმართველობის ორგანოებიდან გამოიყვანეს და სავსებით სწორადაც: სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანო მმართველი კი არა, მომსახურების ორგანოა. იგი უშუალოდ ხალხს ემსახურება, ამზადებს საბუთებს, განსაზღვრავს პენსიის უფლებას, დახმარებისა თუ სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების სფეროში შემავალ ბევრ სხვა საკითხს და ა. შ.

და რადგან მომსახურებას შევეხეთ, ისიც აღვნიშნოთ, როგორ ემსახურებიან ისინი ხალხს — შრომით დაღლილ პენსიონერებს, ინვალიდებს, მარჩენალდაკარგულ, ბავშვიან ოჯახებს. რა თქმა უნდა, არა ჯეროვან დონეზე, არა ისე, როგორც ჩვენ მოვითხოვდით სხვისგან. მომსახურების ხარისხი დაბალია და არა იმიტომ რომ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში გულქვა და ბიუროკრატი ადამიანები სხედან, არამედ იმიტომ, რომ მათი ძალა და შესაძლებლობა მეტს ვერა სწვდება. ან კი რომელ ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ერთი ინსპექტორი 2500-3000-მდე პენსიონერს უნდა ემსახურებოდეს, ის კი 5-6 ათასს და ზოგჯერ მეტსაც ემსახურება. სიჩქარის, დაძაბული მუშაობის, უმეტესწილად დასვენების დროის ხარჯზე. მოსახლეობის განუწყვეტელი მიღების სირთულეები, დროის სიმცირით, სხვადასხვა სახის პენსია-დახმარებების გადაანგარიშებით გამოწვეული სირთულეები აშკარა გავლენას ახდენს მუშაკთა შრომის ნაყოფიერებაზე. ამას ემატება დაბალი ანაზღაურებით გამოწვეული კადრების დენადობა, მდარე კვალიფიკაცია, სისტემის უავტორიტეტობა და სხვა.

სამუშაო მატულობს, სოცუზრუნველყოფის ორგანოების მუშაკებს ფუნქციები უდიდდებათ, ფართოვდება მომსახურების მოცულობა იმავე რიცხობრიობის ხარჯზე, ამის დასადასტურებლად თუნდაც ერთი ფაქტის მოყვანაც კი საკმარისია.

მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ პენსია-დახმარებები ჯერჯერობით საკავშირო საპენსიო კანონმდებლობით ინიშნება და გადაიანგარიშება. საპენსიო რეფორმის გასატარებლად საკავშირო მთავრობამ (1989 წლის 29/XI-ის № 803, ჩვენი 1989 წლის 12/XII № 602) და შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკათა მთავრობებმა დადგენილებები მიიღეს. დადგენილებებში უწინარეს ყოვლისა დამატებითი შტატებით დაკომპლექტების საკითხმაც პოვა ასახვა. საკავშირო მინისტრთა საბჭომ განიხილა შტატების საკითხი და მოსივე ცნობით, უკრაინის სოცუზრუნველყოფას დამატებით მისცა მოთხოვნილი შტატები მთლიანად — 3200 კაცი, ბელორუსიისას — 745 საშტატო ერთეული, უზბეკეთისას — 3000, აზერბაიჯანისას — 401, ლატვიისას — 220, თურქმენეთისას — 154, ესტონეთისას — 121 და ა. შ.

ჩვენ გავითვალისწინეთ შტატების შემცირების საერთო მდგომარეობა და დამატებით მოვითხოვეთ 256 საშტატო ერთეული. 1990 წელს დამტკიცებული ახალი ნორმატივების მიხედვით რესპუბლიკის ინსპექტორთა შემადგენლობა 493 უნდა იყოს. ფაქტობრივად მუშაობს 343 (აკლია 146). მოანგარიშეები ფაქტობრივად გვყავს 258 ნაცვლად 506-ისა. სულ სოცუზრუნველყოფის სისტემას აკლია 394 კაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1990 წლის 29 ოქტომბრის № 609 დადგენილებით გაითვალისწინა სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მოთხოვნა, დასახა შტატების, დამატებითი თანხების, ქაღალდის, სატელეფონო ნომრების გამოყოფისა და სხვა საკითხები, მაგრამ თითო-ოროლა განყოფილების გარდა საშტატო ერთეულები ადგილებზე არ მიუღიათ და შედეგმაც არ დააყოვნა. დაგვიანდა თბილისში 1991 წლის იანვრიდან გაზრდილი პენსია-დახმარებების სხვაობის გაცემა, რაზეც გავლენა იქონია ახალი სახის დახმარებების, კომპენსაციების შემოღებამაც. გადაანგარიშება შეეხო 1 მილიონამდე პენსიას მიმღებს მანამდე არარსებული ე. წ. სოციალური პენსია დამატებით დაენიშნა 30 ათასამდე მოქალაქეს, ასევე დაიწყო დახმარებების დანიშვნა ბავშვებიანი ოჯახებისათვის ბავშვთა ოდენობის მიუხედავად მაშინ, როცა მანამდე სოცუზრუნველყოფაში აღირიცხებოდნენ მხოლოდ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები.

გარკვეული სირთულეები შექმნა პენსიების დარიცხვის — საინფორმაციო გამოთვლით რესპუბლიკურ ცენტრს, რადგან შტატების შემცირება აქაც მოხდა. ამასთან, დროულად ვერ მოხერხდა კომპიუტერების გამოყენება და პროგრამის შეცვლა. ელექტროენერგიის სიმცირის და სხვა მიზეზების გამო მანქანური წესით ინფორმაციის დამუშავება მოძველებული ტიპის გამომთვლელ მანქანებზე სრულად ვერ გაკეთდა, საჭირო გახდა სხვაობების ხელით გამოწერა.

სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს პენსიების დროულად გაცემისთვის. დაგვიანების შემთხვევები მოსახლეობისათვის ცნობილი გახდა რადიო-ტელევიზიისა და პრესის საშუალებით. დაგვიანების აღმოფხვრისათვის მთელი შემადგენლობა დაძაბულად შრომობს მიუხედავად ცუდი სამუშაო პირობებისა, რაც დიდუბის სადგურში მომხდარი საბრძოლო მასალის აფეთქების შედეგად შეიქმნა. ჩამტვრეული კარ-ფანჯრების მინების ჩასმა დღემდე ვერ მოხერხდა უმინობის გამო.

ყოველივე ზემოხსენებული ძალზე დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ხარისხიან მომსახურებაზე და კვლავ პრობლემების წინაშე დაგვაყენებს განსაკუთრებით ახლო მომავალში, რადგან საპენსიო რეფორმა კვლავ გრძელდება, სამუშაო ძალა და პირობები კი სოცუზრუნველყოფის ორგანოებს ცუდი აქვთ. რესპუბლიკის ახალი საპენსიო კანონის განხორციელება გადაუდებელ ღონისძიებებს ითხოვს და უწინარეს ყოვლისა იმ საკითხების მოგვარებას, რაზეც დიდად არის დამოკიდებული სოციალურად ყველაზე ნაკლებდაცული ფენის — ბავშვების, ხანდაზმულებისა და ინვალიდების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხელმძღვანელობა პირველი დღეებიდანვე დაინტერესდა დარგის წინაშე მდგარი პრობლემებით და პირველ რიგში პენსიებისა და დახმარებების დროულად გაცემის უზრუნველყოფით. განხორციელდა მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებები. მთავრობის დახმარებით რესპუბლიკის საინფორმაციო ცენტრს დამატებით გამოეყო თანხები დაბალი ანაზღაურების მქონე მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ასევე შესაძლებლობა მიეცა 20 საშტატო ერთეულით მაინც გაეზარდა პენსიების დარიცხვაზე მომუშავეთა რიცხვი. მობილიზაცია გაუკეთდა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებათა მუშაკებს, რომლებმაც თავიანთი ძალისხმევა ამჯერად პენსიების დარიცხვაზე გადაიტანეს. ცენტრის ახალ დანიშნულ ხელმძღვანელი ღრმად ჩასწვდა იმ პრობლემებს, რომლებიც უკან სწევდა მათ საქმიანობას და დასახა გეგმა დარღვევების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, გამომთვლელ მანქანებში შეტანილი რიგის მოძველებული პროგრამიდან შენარჩუნებულ იქნა საჭირო მონაცემები, ხოლო ნაწილი გასუფთავდა, რათა ახლით შეიცვალოს. მანამდე კი, ცენტრის მუშაკებს დამატებით დიდი შრომის გაწევა მოუხდათ სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებათა მუშაკებთან ერთად. ხელით დამუშავდა ათასობით დოკუმენტი, მათ შორის მარტო ამა წლის აგვისტოში ფოსტაში პენსიის გასაცემად დამატებით გაიგზავნა 3840 პენსიების დავალება ფორმა № 2, 66 891 ფულადი გზავნილი. სექტემბერში პენსია დაერიცხა 105 681 პენსიონერს, ფორმა № 2-ით 8106-ს, მაგრამ განაღდება ყველასი არ მომხდარა. იმის გამო, რომ რესპუბლიკაში ფულის ნიშნების ნაკლებობაა, ხშირად გაგზავნილ დავალებებს როგორც ფოსტა, ისე შემნახველი ბანკები ვერ ანაღდებდნენ. ამის დასადასტურებლად მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. ამა წლის 13 სექტემბერს კავშირგაბმულობის სამინისტროს თბილისის ფოსტამტმა № 04/14 წერილით გვაცნობა, რომ ბანკმა ვერ დააკმაყოფილა პენსიებისა და კომპენსაციების გასაცემად საჭირო ოდენობის თანხების მათი მოთხოვნა. აპრილში შეკვეთილი 13 მლნ მანეთის ნაცვლად მიიღეს 6,6 მლნ მანეთი, მაისში 10,55 მლნ მანეთი, ივლისში 18,5 მლნ მანეთის, ნაცვლად 13,3 მლნ მანეთი, აგვისტოში 18,7 მლნ მანეთის ნაცვლად 8,8 და ა. შ.

უფულობის გამო დროულად ვერ მიიღეს პენსია-დახმარებები გორისა და სამაჩაბლოს პენსიონერებმაც, რის გამოც გორის პრეფექტურამ სასწრაფოდ დასვა საკითხი მთავრობისა და ბანკის წინაშე სათანადო დახმარების აღმოსაჩენად.

1991 წლიდან საპენსიო კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებებისა და ამა წლის აპრილიდან საკომპენსაციო თანხების შემოღებამ მკვეთრად გაზარდა გასაცემი თანხების ოდენობა, თუ შარშან ყოველთვიურად ქ. თბილისის ფოსტამტის მეშვეობით 95 ათას პენსიონერზე გასაცემი თანხა შეადგენდა დაახლოებით 9 მლნ მანეთს, ამჟამად პენსიონერთა რაოდენობის გაზრდის შედეგად საჭიროა 20-21 მლნ. მანეთი. ცხადია, თანხების ასეთი მკვეთრად გაზრდის გამო ბანკსაც გარკვეული სირთულეები შეექმნა.

ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრის ქ-ნ მანანა ძოძუაშვილის უშუალო ჩარევითა და მონდომებით შესაძლებელი გახდა მდგომარეობის თანდათანობით უკეთესობისაკენ შეცვლა. ფოსტამტთან შეთანხმებით პენსიის გაცემის ვადები გადიდდა და თუ მისი გაცემა მთავრდებოდა თვის 18 რიცხვში, ამჟამად 27 რიცხვამდე უნდა დამთავრდეს.

ფოსტამტთან ერთად დახმარების ხელი გამოგვიწოდა ბანკის ხელმძღვანელობამაც, რომელიც ყოველდღიურად გარკვეულ თანხას — 1 მლნ მანეთს გამოყოფს მხოლოდ პენსიებისა და დახმარებების გასაცემად.

კომპლექსური ღონისძიებების გატარებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის უკეთ მომსახურებას, რათა შემდგომში დროულად და ხარისხიანად მომზადდეს დოკუმენტაცია საქართველოს რესპუბლიკის ახალი საპენსიო კანონის მიხედვით პენსიებისა და დახმარებების დანიშვნა-გადაანგარიშებისათვის.

პრობლემები და ამოცანები სისტემის წინაშე დიდზე დიდი დგას. ამიტომ თუ სოცუზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს საჭირო ტექნიკური ბაზის, სამუშაო პირობების, კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისა და სხვა საკითხების მოგვარებაში ხელშეწყობა არ ექნათ, უთუოდ იმ ჰუმანური საქმიანობის უკუსვლა დაიწყება, რასაც მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა ჰქვია.

არ შეიძლება კადრების პრობლემაზეც არ გავამახვილოთ ყურადღება. კერძოდ, მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფას უსათუოდ კანონის მცოდნე პიროვნებები უნდა ედგნენ სათავეში. ამიტომ სამინისტროს პოზიცია მტკიცეა და მოითხოვს უმაღლესი ან საშუალო-სპეციალური იურიდიული ან საფინანსო-ეკონომიკური განათლების მქონე მუშაკებით დაკომპლექტებას. კადრების შეცვლის დროს სხვაგვარად შეუძლებელია კანონის სწორად და ხარისხიანად განხორციელება.

ერთი კვირაც კი არ არის გასული, რაც საქართველოს საპენსიო უზრუნველყოფის ახალი კანონპროექტი გამოქვეყნდა პრესაში საყოველთაო განხილვისათვის და, ბუნებრივია, მას მოკლე მიმოხილვა და ზოგიერთი საკითხის განმარტებაც ესაჭიროება. მოსახლეობისათვის საინტერესოა, რა არის მასში ახალი, რით განსხვავდება იგი უკვე მოქმედ საკავშიროსაგან, რას აძლევს ხალხს, რას ისახავს მიზნად და რა ხარჯებთანაა დაკავშირებული მისი განხორციელება.

შევეცდებით მოკლედ შევეხოთ ყოველ მუხლს და განვმარტოთ ეს კანონი, რადგან დაინტერესებულია მრავალი მოქალაქე, რასაც მოწმობს ტელეფონის ზარის განუწყვეტელი წკრიალი.

კანონის პროექტი შეიმუშავა საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს აპარატის სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელიც წინასწარ გაეცნო მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის საპენსიო კანონმდებლობას. შემუშავებული პროექტი გასაცნობად, წინადადებებისა და შენიშვნებისათვის გადაეცა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა წარმომადგენლების თანდასწრებითაც კიდევ ერთხელ იქნა იგი განხილული და შესწორებული.

კანონის პროექტის შემუშავების დროს ჯგუფმა გაითვალისწინა ჩვენი რესპუბლიკის სპეციფიკა, გართულებული დემოგრაფიული პრობლემები, გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეები და საბოლოოდ ისეთი სახით ჩამოყალიბდა, როგორც პრესაშია გამოქვეყნებული.

მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ ჩვენი და საკავშირო საპენსიო კანონი ერთმანეთს ჰგავს, რაც იმითაა გაპირობებული, რომ წლების მანძილზე შექმნილი და ჩამოყალიბებული მომუშავის სტერეოტიპი და მისი შრომითი საქმიანობა, ანაზღაურების ფორმები კავშირის ფარგლებში ერთნაირად რეგულირდებოდა.

აღნიშნულის გამო შეუძლებელია თანამედროვე პირობებში საპენსიო პოლიტიკის მკვეთრად შეცვლა.

კანონის პროექტი ადგენს საპენსიო უზრუნველყოფის ერთიან პირობებსა და ნორმებს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის, პენსიების დაფინანსება მოხდება სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდიდან. ფონდის ძირითადი წყარო არის სადაზღვევო შენატანები, რომლებსაც იხდიან წარმოება-დაწესებულებები, სასოფლო კოოპერატივები, ინდივიდუალური შრომით დასაქმებული პირები, კოოპერატივები და მშრომელები.

მოქალაქეებს უფლება ექნებათ გარდა სახელმწიფო პენსიისა, მისგან დამოუკიდებლად მიიღონ კიდევ სხვა სახის პენსიებიც, მაგალითად, დამქირავებელი ორგანიზაციისაგან, ნებაყოფლობითი დაზღვევით.

ნამსახურობით პენსიები (მუხ. 52) დაინიშნება მხოლოდ იმ სამუშაოს დატოვების შემდეგ, რომელიც უფლებას აძლევს მოქალაქეს დაენიშნოს ასეთი სახის პენსია. ნამსახურობის შეღავათები უწესდებათ საპენსიო ასაკში, სათანადო სტაჟის დაგროვების შემდეგ. ამიტომ დაინტერესებული სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ თანამდებობათა და პროფესიათა ჩამონათვალის ნუსხის შედგენას, სანამ მათ საქართველოს მთავრობას წარუდგენენ დასამტკიცებლად. იგივე უნდა ითქვას შეღავათიანი პირობებით პენსიის დანიშვნისათვის სამუშაოთა, წარმოებათა, პროფესიათა — მაჩვენებლების № 1 და № 2 სიების შედგენაზე.

ჩვენი კანონის პროექტით № 2 სიას დაემატა (ზოგიერთი კი საერთოდ არ გავითვალისწინეთ, ჩვენი რესპუბლიკის სპეციფიკიდან გამომდინარე) (ჩაის ხელით კრეფაზე მომუშავე ქალები და ის ქალები, რომლებიც დასაქმებული არიან თამბაქოს მოყვანა-აღებასა და დამუშავებაზე სრული სეზონის განმავლობაში (მუხ. 11 „ბ“ და „გ“).

აღნიშნული № 2 სიით გათვალისწინებულ პენსიონერთა მიმართ კანონის ძალაში შესვლის დღიდან ჯერ ნაწილობრივი, შემდეგ მთლიანი ანაზღაურების, ე. ი. გაცემული თანხის შევსება დაეკისრებათ ორგანიზაციებს, სადაც ასეთი სამუშაოები სრულდება.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა აიძულებს წარმოება-დაწესებულებებს გამოიყენონ და დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოახდინონ წარმოებების ხელახალი შეიარაღება, აღკვეთონ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე და მძიმე პირობებში მუშაობა, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მუშაკების შეღავათიან პენსიაზე წარდგენის საქმეს.

პროექტი ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს მრავალშვილიანი და ინვალიდი შვილების დედებისათვის (მუხ. 13), კერძოდ, სხვა ქვეყნებთან შედარებით მრავალშვილიანად ჩავთვალეთ 4 შვილის დედა, რომელმაც ისინი 8 წლის ასაკამდე აღზარდა, საპენსიო ასაკი იგივე დარჩა —50 წელი, რაც სხვა ქვეყნებშია, მაგრამ მუშაობის სტაჟად 15 წელი განვსაზღვრეთ (სსრკ-ის კანონით 20 წელია), ამასთან, თითოეული ბავშვის მოვლისათვის მათ კანონით დადგენილი 3-3 წელი ჩაეთვლებათ შრომის სტაჟად, მაგრამ არაუმეტეს 9 წლისა (სსრკ-ში მხოლოდ 6 წელი ითვლება).

მრავალშვილიან დედებს უწესდებათ დანამატი მრავალშვილიანობის გამო — ასაკობრივი მინიმალური პენსიის 35%.

საერთო დაავადების ინვალიდობის გამო პენსიის დასანიშნად გავიზიარეთ სხვა ქვეყნების პრაქტიკა და ქალებისა და მამაკაცებისათვის შემოვიღებთ ასაკისა და სტაჟის ერთიან ინტერვალებს. დღეისათვის თუ 61 წელს გადაცილებულ მამაკაცს ინვალიდობის პენსიის დასანიშნად მოეთხოვება 20 წლის, ხოლო ქალს 15 წლის სტაჟი, პროექტით სტაჟის ოდენობა გათანაბრდება (მუხ. 22) და ორივესათვის იქნება 15 წელი.

ცვლილებები შევიტანეთ პენსიის გამოანგარიშების მექანიზმშიც. კავშირის კანონით ასაკოვანის პენსიის გამოანგარიშების მექანიზმი მეტად რთულია, ამასთან მას ზღუდავს 75%-ით, რაც მამაკაცისათვის 45, ხოლო ქალებისათვის 40 წელს შეადგენს. ჩვენმა პროექტმა ეს შეზღუდვა მოხსნა იმის საფუძველზე, რომ ამ სტაჟის გადამეტებით, არც თუ დიდი პროცენტი აღმოჩნდება ასეთი სტაჟის მქონე, და მისი ნამუშევარიც არ დაიკარგება, ე. ი. სამართლიანობის პრინციპი არ დაირღვევა. მოქალაქემ მეტი იმუშავა და მეტი დაიმსახურა (მუხ. 15).

სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ დღემდე მოქმედებს საკავშირო საპენსიო კანონი. მივიჩნიეთ, რომ ვინც საკავშირო კანონის მიხედვით 1990 წლის ოქტომბრიდან უკვე ღებულობს მაღალ პენსიას, იმათ პენსიები არ შეუმცირდებათ, მაგრამ საჭიროა რესპუბლიკამ თავისი კანონი მიიღოს სამხედროთა შესახებ, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ახალ საპენსიო კანონთან.

სხვა ქვეყნების საპენსიო კანონებისაგან განსხვავებით პენსიის გამოსაანგარიშებელი საშუალო ხელფასისათვის პროექტით გათვალისწინებულია ზედიზედ 5 წლის გამომუშავება, რომელიც მუშაობის ბოლო 25 წლის განმავლობაში აირჩევა (მუხ. 65). სსრკ კანონში კი 15 წელია გათვალისწინებული. ამასთან, ხელფასი აიღება ისე, რომ არ აღემატებოდეს მინიმალური ხელფასის 10-ჯერად ოდენობას (მუხ. 64). ფასების ცვალებადობისა და ინდექსაციის კვალობაზე შეიცვლება პენსიის გაანგარიშებაც. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ფინეთის საპენსიო კანონი, რომელიც ემყარება პრინციპს —„ინფლაცია პენსიონერს არ ჭამს“.

პენსიების გადაანგარიშების (მუხ. 70) მექანიზმის გასამარტივებლად საკავშიროსაგან განსხვავებით პროექტში ისევ დარჩა 2-წლიანი ხელფასიდან პენსიების გადაანგარიშების ნორმა (ნაცვლად ყოველი 2 წლის შემდეგ გადაანგარიშებისა, რომელსაც ემატება წინა 3 წლის გამომუშავებაც). აღნიშნული განაპირობა შრომის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანამ, კერძოდ 34 მუხლმა, სადაც მითითებულია პენსიონერთა სამუშაოდან გათავისუფლება. საპენსიო ასაკს გადაცილების შემდეგ პენსიონერებს აღარ ექნებათ საშუალება გაიუმჯობესონ თავიანთი მატერიალური მხარე მუშაობის გახანგრძლივებით. ამიტომ თუ მათ არ მივეცით საშუალება პენსია გადაიანგარიშონ არა 2-წლიანი ხელფასიდან, გამოდის, რომ მათ წინასწარ ვუსპობთ პენსიის გადიდების საშუალებას.

პერსონალური პენსიების დანიშვნა შეწყდა მთელი კავშირის მასშტაბით, ამასვე ითვალისწინებს ჩვენი კანონიც.. იმ პენსიონერებს, რომლებსაც დანიშნული ჰქონდათ პერსონალური პენსიები, რესპუბლიკის კანონის მიხედვით პენსია გადაუანგარიშდებათ სხვა პენსიონერთა თანაბრად. თუ გადაანგარიშების შედეგად მეტი იქნება პენსიის ახალი ოდენობა, მიეცემა ეს თანხა, ხოლო თუ გამოიწვევს შემცირებას, დარჩება კანონის, მიღებამდე დანიშნული პენსია.

პროექტში გათვალისწინებულია შეღავათები იმ პირებისათვის, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე.

სასიკეთო ცვლილებებია შრომის სტაჟის საკითხებშიც. კერძოდ, თუ დღეს მოქმედი კანონით მოხუცებულობის გამო პენსიის დანიშვნის დროს არ ითვალისწინებენ სწავლას უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე თუ მას წინ არ უსწრებდა მუშად ან მოსამსახურედ მუშაობა ან ჯარში სამსახური, მომავალში იგი ამ შეზღუდვის გარეშე ჩაითვლება; ასევე ჩაითვლება 16 წლამდე ბავშვობიდან ინვალიდის, I ჯგუფის ინვალიდისა და 80 წლის ასაკს გადაცილებული მოხუცის მოვლის პერიოდი. დღეისათვის ამ კატეგორიიდან მხოლოდ I ჯგუფის ინვალიდის მოვლის დრო ითვლება მუშაობის სტაჟად და ისიც სამამულო ომის ინვალიდისა და დასახიჩრებული ან პროფდაავადებული ადამიანისა.

განსხვავებული წესი შევიტანეთ პროექტში პენსიონერის გარდაცვალების გამო მიუღებელი პენსიის გაცემაზე (მუხ. 102), კერძოდ, საკავშირო კანონით თანხა მხოლოდ ოჯახის წევრებს მიეცემათ, ჩვენი რესპუბლიკისათვის კი უცხოა მოვლა-პატრონობა და დაკრძალვა მხოლოდ მასთან მაცხოვრებელზე გადადიოდეს. ხშირ შემთხვევაში, როცა მშობელი ან ნათესავიც კი სულ სხვა რაიონში ან ქალაქში ცხოვრობს, პენსიონერი ჩამოჰყავს თავისთან, უვლის, მკურნალობს და გარდაცვალების შემთხვევაშიც ბოლომდე პატრონობს, ამიტომ მოსახლეობის ზნეჩვეულებების გათვალისწინებით მიუღებელი თანხა გაიცემა მემკვიდრეებზეც, ხოლო დასაკრძალავი დახმარება მასზე, ვინც ხარჯები გასწია.

ასაკოვანის პენსიის გაცემის ნაწილში (მუხ. 19) კანონის პროექტი მრავალჯერ შეიცვალა. იმ სირთულეების გამო, რაც ეკონომიკაში გვაქვს, ამასთან, რადგან კანონი დღეისათვის და ხვალისათვის არ იწერება და არც ის გვინდა, რომ სხვა ქვეყნის კანონთან შედარებით ძალზე ღარიბად გამოიყურებოდეს, ამიტომ ეს საკითხი ბოლოსათვის მოვიტოვეთ. მისი გადაწყვეტისათვის მოსახლეობის აზრი დიდად დაეხმარება რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

ასაკოვან პენსიონერებს პენსიებს სრულად აძლევენ მუშაობის პერიოდში სსრ კავშირში, თუ დადებულია ვადიანი შრომითი ხელშეკრულება 2 წლამდე, გარდა ზოგიერთი კატეგორიისა, რომელსაც არავითარი შეზღუდვა არა აქვს (იხ. სსრ კავშირის კანონის 24-ე მუხლი). სრული ოდენობით აძლევენ პენსიებს ესტონეთის სახელმწიფო და რსფსრ. მუშაობის პერიოდში პენსიას საერთოდ არ უხდიან ფინეთში, ასე, რომ ყველგან სხვადასხვა პრაქტიკაა და დამოკიდებულია ისევ და ისევ ქვეყნის ეკონომიკაზე.

მომუშავე ასაკოვანი პენსიონერებისათვის პენსიების სრულად გაცემის გამო, ალბათ, კრიტიკის ქარცეცხლში გაგვატარებენ ფინანსისტები. მაგრამ ვინაიდან კანონი მარტო დღეისათვის არ დაწერილა, ასეთი ფორმულირება დარჩა. ამასთან გავითვალისწინეთ კანონის ეტაპობრივად განხორციელება ამ ნაწილშიც, რაც ალბათ უზენაესი საბჭოს დადგენილებაში პოვებს ასახვას. კერძოდ, პენსიების გაცემა გარკვეული წლების განმავლობაში შეიზღუდება. ეს შეეხება როგორც უკვე დანიშნულ, ისე ახალი კანონის ნორმების მიხედვით გაანგარიშებულ პენსიებს.

საკავშირო კანონის მიხედვით მომავალი წლის იანვრიდან პენსიები განისაზღვრება თვეში არა უმეტეს 160 მანეთისა და ასაკოვან პენსიონერებს მიეცემათ მხოლოდ ვადიანი ხელშეკრულებით მუშაობის პერიოდში, ზოგიერთი კატეგორიის გამონაკლისით (მუშები, ოსტატები, სოფლებში მომუშავე ზოგიერთი სპეციალობის მქონენი და სხვა), ვინაიდან ჩვენს რესპუბლიკას მათზე მეტი სიძნელეები აქვს, ვფიქრობთ პენსიების განსაზღვრა-გაცემის ეს წესი გარკვეულ დრომდე ჩვენც მივიღოთ. თუ რატომ ასე და არა სხვაგვარად, ამაზე დაახლოებით გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის რამდენიმე გაანგარიშების მაგალითი.

უკანასკნელი გადაანგარიშების შედეგად მარტო პენსიებისათვის რესპუბლიკაში დამატებით მილიარდზე მეტი მანეთი დაიხარჯა. აქ არ შედის სხვა სახის მომსახურების ხარჯები (საგზურები, ერთდროული დახმარებები, უფასო ავტომანქანები და ა. შ). ყველა სახის პენსიონერებზე თვეში საშუალოდ 160 მანეთი რომ ავიღოთ, საჭირო იქნება 2,5 მილიარდ მანეთამდე, აქ არ შედის კომპენსაციები.

მოსახლეობამ იცის, რა გარღვევები აქვს ბიუჯეტს. ამიტომ ახალშექმნილ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან რესპუბლიკურ ფონდს, რომელსაც ჯერჯერობით ამდენი სახსრები არ გააჩნია, პენსიების გაცემის მთლიანად უზრუნველყოფა არ ძალუძს. წარმოება-დაწესებულებები ნედლეულის, ელექტროენერგიის უქონლობის გამო გაჩერებული იყვნენ და დღესაც უკეთესი მდგომარეობა არ შექმნილა, ზოგიერთი ზარალიანია ან სულაც გაუქმდა, რის გამოც იმ მინიმალურ 26%-ს ვერ რიცხავენ (მომუშავე მოქალაქენი 1%-ს რიცხავენ მხოლოდ) ფონდში, ამიტომ ცხადია, სანამ ფონდს შესაძლებლობა არ მიეცემა გარკვეული თანხის დაგროვებისა, საპენსიო კანონის წარმოდგენილი პროექტი, თუ მას მიიღებენ, ჯერ სრულად ვერ ამოქმედდება.

კანონის პროექტის (გამოქვეყნებულია „საქართველოს რესპუბლიკაში“ 23 ოქტომბერს) ირგვლივ ალბათ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ საჭიროდ არ მივიჩნიეთ, რადგან მას დაკვირვებით უნდა განხილვა და სამართლიან შენიშვნებსაც და საგულისხმო წინადადებებსაც დიდი მადლობით შევხვდებით.

კანონის მიღებამდე საჭიროა დამუშავდეს და მომზადდეს კანონქვემდებარე აქტები, რომელიც აუცილებელია კანონის პრაქტიკული განხორციელებისათვის. ასეთ აქტებს განეკუთვნება დადგენილებები, ნუსხები, ჩამონათვალი შეღავათიანი პროფესიებისა, თანამდებობებისა, სპეციალობებისა და მაჩვენებლებისა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება შეღავათიანი პირობებით პენსიაზე გასვლის უფლება, ნამსახურობის წესი და პირობები, კატეგორიები და ა. შ.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები მიღებულ კანონს რეალიზაციას გაუკეთებენ, მანამდე კი სპეციალისტებისაგან ითხოვენ უშუალო ჩარევასა და დახმარებას. მათ უკეთ იციან, ვინ უნდა გავიდეს შეღავათიანი პირობით პენსიაზე და რატომ. ამიტომ დაინტერესებულმა სამინისტროებმა, უწყებებმა, ორგანიზაციებმა დროულად უნდა ჩაატარონ მოსამზადებელი სამუშაოები, თავიანთი მოსაზრებები (თანდართული სიებით) წარადგინონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში, ასევე უნდა მოამზადონ ნუსხები იმ ორგანოებმა, ვისაც ეს ეხება კანონის პროექტში მითითებული დარგების მიხედვით.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული კანონის პროექტის განხილვაში მოსახლეობის ფართო ფენებისა და საწარმო-დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობა უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის უფრო ხელსაყრელი საპენსიო კანონის სრულყოფილი ვარიანტის შემუშავებასა და მიღებას, რომლის განხორციელებაც საგრძნობლად გააუმჯობესებს შრომისუუნარო მოქალაქეთა მატერიალურ მდგომარეობას.

როლანდ მეგურიშვილი,
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე.

ხასიქადულო მეცნიერი და მამულიშვილი

მრავალმხრივია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ღვაწლი ქართული მეცნიერების განვითარებაში. ფართოა მისი მეცნიერული ინტერესების თვალსაწიერი: საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ქართული ეკონომიკური აზრი, სოციოლოგია, სტატისტიკა, ქართული ჟურნალისტიკა, დემოგრაფია... ამ პრობლემებს მიუძღვნა ღვაწლმოსილმა მკვლევარმა ჭეშმარიტად ტიტანური ძალისხმევით შექმნილი 500-მდე ნაშრომი, მათ შორის 120-ზე მეტი მონოგრაფია.

საშუალო განათლება პ. გუგუშვილმა ფოთის და ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. სტუდენტობის დროიდან ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა ნარკვევებს, სტატიებს, რეცენზიებს. ცალკე წიგნად მისი ნაშრომი პირველად გამოიცა 1929 წელს. ეს იყო „ქართული წიგნი 1629-1929 წწ". — ქართული სტამბის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატისტიკურ-ეკონომიკური მონოგრაფია.

1930 წელს პ. გუგუშვილს მიეკუთვნა დოცენტის წოდება, ხოლო 1938 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ, დისერტაციის დაუცველად, იმ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი ნაშრომებისათვის მიანიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ოცდათოთხმეტი წლის პ. გუგუშვილი ბრწყინვალედ იცავს დისერტაციას ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ოფიციალურმა რეცენზენტ-ოპონენტებმა: აკადემიკოსებმა ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და პროფესორმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა მისი დისერტაცია დაახასიათეს როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დიდი მიღწევა და ახალი მნიშვნელოვანი წვლილი, საერთოდ, მეცნიერებაში. პ. გუგუშვილმა ამ ნაშრომით საფუძველი ჩაუყარა XIX-XX საუკუნეების საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების პრობლემათა შესწავლას, რაც შემდგომ მისი ფართო დიაპაზონის მეცნიერული კვლევა-ძიების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა.

პაატა გუგუშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრების განვითარების შესწავლას უპირატესად ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის პერიოდში.

ამიერკავკასიის ეკონომიკური ყოფის ისტორიის შესწავლა მან იმთავითვე წარმართა როგორც საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების ფორმებისა და დარგების, ასევე მთლიანად ქვეყნის სახალხომეურნეობრივი განვითარების კანონზომიერებათა და ტენდენციათა ახსნისაკენ მიმართული ცდები, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერების ევოლუციის გაშუქებისათვის ხელი მოჰკიდა ქართული ბეჭდვითი სიტყვის, განსაკუთრებით, ჟურნალისტიკის შესწავლას, რამდენადაც იმ ეპოქის საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი უმთავრესად პუბლიცისტიკაში, კერძოდ, პერიოდულ გამოცემებში ვლინდებოდა.

ახალგაზრდა მეცნიერმა აქამდე თითქმის სავსებით შეუსწავლელი ეპოქის მთლიან, სოციოლოგიურ კვლევას მოჰკიდა ხელი და ფართო ფრონტით გაშალა ძიება. ამ პრობლემებზე პ. გუგუშვილმა გამოაქვეყნა არაერთი ფუძემდებლური მონოგრაფიული გამოკვლევა, რომლებმაც ავტორს დიდი ერუდიციის მქონე ფართო დიაპაზონის მეცნიერის სახელი მოუხვეჭა.

პაატა გუგუშვილმა პირველმა შეისწავლა ზოგიერთი ახალი დარგი მეურნეობრივი თაოსნობისა. მაგალითად, წიგნის, საერთოდ, გამომცემლობის საკითხები (ევროპის ქვეყნებში ბეჭდვითი სიტყვა (პოლიგრაფიული მრეწველობა) დიდი ხანია, რაც კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთ მოწინავე დარგად იქცა), XIX საუკუნის მიწურულიდან და განსაკუთრებით, ჩვენს დროში ქართული ბეჭდვითი სიტყვა მეურნეობრივი თაოსნობის მნიშვნელოვანი დარგია, ამდენად იგი ეკონომისტის კვლევა-ძიების საგანი უნდა გამხდარიყო. ამ ფრიად საყურადღებო მოვლენას ეხმაურება პ. გუგუშვილის მიერ სტუდენტობის პერიოდში დაწერილი და ცალკე წიგნად გამოცემული სქოლიოებიანი გამოკვლევა „ქართული წიგნი 1629-1929 წწ"; (1929).

დისერტაციის ერთ-ერთმა ოფიციალურმა ოპონენტმა აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა ამ ნაშრომს საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის დიდი შენაძენი უწოდა.

50-იანი წლებიდან პ. გუგუშვილი გატაცებით მუშაობდა სოციოლოგიის საკითხებზე. მისი მთავარი სოციოლოგიური ნაშრომებია: „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ" (1960,1977), „სოციოლოგიური ეტიუდები", ორი ტომი (1970, 1971), „ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები" (1951) და სხვ. მან წამოიწყო აგრეთვე პერიოდული გამოცემა კრებულებისა „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები".

ჭეშმარიტად ტიტანური შრომა გასწია პ. გუგუშვილმა დემოგრაფიის (ხალხთმოსახლეობის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შესასწავლად. მის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომები: „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია მე-19 ს. (1949). „საქართველოს მოსახლეობა 160 (1800-1960) წლის მანძილზე (1963); „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები" (1973) „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა" (1985) და სხვ.

1973 წლიდან აკადემიკოსი პ. გუგუშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს, რომელიც სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების პროცესს, რათა შემუშავებულ იქნეს დემოგრაფიული სიტუაციის შესაბამისი პრაქტიკული რეკომენდაციები.

პ. გუგუშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეში. 1947 წელს პირველად გამოქვეყნდა მისი „ეკონომიკის ტერმინოლოგია", შემდეგ კი „ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისთვის" (1952), „დემოგრაფიული ტერმინოლოგიის საკითხები" (1975, 1984) და სხვ.

პროფესორ პაატა გუგუშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში როგორც მოცულობრივი დიაპაზონის, ისე შემოქმედებითი ჩანაფიქრის სირთულისა და გადაწყვეტის მნიშვნელობის მხრივ, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის მრავალტომიან გამოკვლევას — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში". დაბეჭდილია ამ გამოკვლევის 7 ტომი, სადაც შევიდა 120-ზე მეტი მონოგრაფია.

ერთი ადამიანის მიერ მრავალეროვანი მსხვილი ეკონომიკური რეგიონის მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივ ურთიერთობათა ესოდენ ფართო და დეტალური შესწავლა. შეიძლება ითქვას, იშვიათი მოვლენაა მეცნიერებაში. ამ ნაშრომებით ჩვენს ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალი მიმართულება გაჩნდა.

1967 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში", ტ. I (1967) განსაკუთრებით ფართო გამოხმაურება გამოიწვია, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთშიც. რეცენზიები დაიბეჭდა გერმანულ, ინგლისურ, ამერიკულ, რუსულ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრესაში.

დიდ ყურადღებას იმსახურებს პ. გუგუშვილის ნაშრომები ხალხთმოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები" (1973). მონოგრაფიული გამოკვლევისათვის არაჩვეულებრივად დიდი ტირაჟით (20 000) დაბეჭდილი ეს ნაშრომი ერთბაშად გაქრა წიგნის ბაზარზე. მან მკითხველთა უაღრესად ფართო გამოხმაურება და ღრმა დაინტერესება გამოიწვია და არა მხოლოდ საქართველოში.

საკმარისია ითქვას, რომ ამ მონოგრაფიის ვრცელი რუსული რეზიუმე სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ (1974 წ). ბეჭდურად გაამრავლა და სათანადო მითითებით დაუგზავნა მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სტატისტიკურ ორგანოსა და ბიბლიოთეკებს. ესოდენ დიდი ყურადღება იშვიათად თუ რგებია საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში გამოცემულ წიგნს.

დიდი გულისხმიერებით გამოეხმაურა ამ წიგნს მწერალი აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია:

„...მე ვესწრებოდი თბილისის უნივერსიტეტში პაატა გუგუშვილის მიერ 1940 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვას და ახლაც კარგად მახსოვს ის მაღალი შეფასება, რაც მისმა ოფიციალურმა ოპონენტებმა და, კერძოდ, მისმა მასწავლებელმა, ჩვენი უნივერსიტეტის მთავარმა ფუძემდებელმა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მისცა თავისი სახელოვანი მოწაფის პაატა გუგუშვილის დისერტაციას და საერთოდ, მის მეცნიერულ შემოქმედებას... მას შერმე პაატა გუგუშვილმა თავისი უაღრესად ნაყოფიერი მუშაობით — პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიის, სტატისტიკის, დემოგრაფიის პრობლემებზე გამოცემული ღრმამეცნიერული გამოკვლევებით — გაამდიდრა და აამაღლა არა მხოლოდ ქართული, არამედ, საერთოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შესაბამისი დარგები...".

დიდად სასურველია „...ქართველმა მკითხველმა ყურადღებით წაიკითხოს, წაიკითხოს კი არა — შეისწავლოს, და ჩვენი ერის მომავლის თვალსაზრისით ღრმად გაიაზროს ამ წიგნში წარმოდგენილი მსჯელობა და მთელი ფაქტობრივი მასალა ქართველი ხალხის გამრავლების მდგომარეობის თაობაზე... ძლიერ მიხარია, რომ შესაძლებლობა მაქვს ქართველ მკითხველს, ჩემს მკითხველს ვურჩიოთ ეს წიგნი, რომელიც სავსებით იმსახურებს საპატიო ადგილი ეჭიროს ყოველი ოჯახის შინაურ ბიბლიოთეკაში, დღენიადაგ საკითხავ და სწორედ ოჯახისათვის სახელმძღვანელო წიგნთა შორის".

1950-იანი წლებიდან, ახალი ინდუსტრიული რევოლუციის აღმავლობის ვითარებაში, დიდი ძვრები დაიწყო მსოფლიო ჰუმანიტარულ მეცნიერებაშიც, ამის კვალობაზე სსრ კავშირში დაიწყო სოციოლოგიური კვლევა-ძიების სწრაფი გააქტიურება. 1959 წელს სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში პირველად მონაწილეობდა ხუთი კაცისაგან შემდგარი მეცნიერთა დელეგაცია საბჭოთა კავშირიდან.

სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობის შემაჯამებელ პლენარულ სხდომაზე კონგრესის ყველა სექციის მიერ მოსმენილ მოხსენებათაგან, პრობლემის მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის სიღრმის მხრივ აღინიშნა ათიოდე მოხსენება, რომელთაგან ერთი პ. გუგუშვილისა იყო. იგი იქვე აირჩიეს მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად.

იმ დროიდან მოყოლებული პ. გუგუშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესების, აგრეთვე სხვა სპეციალური საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში, სადაც, როგორც წესი, დიდ ინტერესს იწვევდა მისი მოხსენებები ეკონომიკური განვითარებისა და შრომის მწარმოებლურობის ტემპების, სოციალურ-ეკონომიკური გეგმიანობისა და პროგნოზების საკითხის, ოჯახის ფორმირებისა და მოსახლეობის აღწარმოების პრობლემათა და სხვათა შესახებ. პ. გუგუშვილის ეს მოხსენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. 1960-იან წლებში გამოქვეყნებული პ. გუგუშვილის სოციოლოგიური გამოკვლევების კრებული 1971 წელს გამოიცა ორ ტომად: „სოციოლოგიური ეტიუდების" სახელწოდებით.

დიდი გამოხმაურება ჰქონდა მსოფლიოს ეკონომიკურ და სოციოლოგიურ პრესაში 1972 წ. გამოცემულ პ. გუგუშვილის წიგნს „გეგმიანობისა და პროგნოზირების თეორიული ასპექტები".

ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. კოლეჯა თავის ვრცელ რეცენზიაში წერდა: წიგნის ავტორი „ღრმად განათლებული ქართველი მეცნიერია, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ თანდათანობით მასთან და ჩვენთანაც სულ უფრო და უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება ვიმსჯელოთ გეგმიანობის საკითხებზე და ნაკლებად შეზღუდული ვიქნებით პოლიტიკური ორიენტაციის მხრივ", — ასკვნის ბოლოს კონვერგენციის თეორიის ცნობილი ავტორი — ამერიკელი პროფესორი.

დიდია პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების სფეროში. ამ პრობლემაზე მან მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტში" (1928 წ. № 6) გამოაქვეყნა სტატია აღრიცხვისა და კომერციული ტერმინოლოგიის შესახებ.

20 წლის შემდეგ, 1947 წ. ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგია" (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილია პ. გუგუშვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე. ამ ტერმინოლოგიის გარშემო დღემდე გაგრძელებული დისკუსია მოწმობს, რომ ეს ნაშრომი უდიდესი მნიშვნელობისაა ქართული ეკონომიკური მეცნიერების, სოციალურ-ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიაში.

პაატა გუგუშვილმა, როგორც მეცნიერმა, ადრე მიაღწია საერთაშორისო აღიარებას. მაგრამ მისი მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიებით. თავისი ქვეყნის გულმხურვალე მოქალაქე არაერთი სასიკეთო საქმის ინიციატორი იყო. მან ბევრი დრო და სულიერი ენერგია შეალია თავისი სანუკვარი მიზნის განხორციელებას — საქართველოში ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებას. ამისათვის მას და მის თანამდგომთ — პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილსა და აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძეს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ. მაგრამ საქმე კეთილად დაგვირგვინდა: 1944 წელს, ომის მძიმე წლებში, დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც დღეს პაატა გუგუშვილის სახელს ატარებს და დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის, ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

ღვაწლმოსილმა მკვლევარმა ქართველ ეკონომისტთა არაერთი თაობა აღზარდა. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 80-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. იგი იყო 100-ზე მეტი დისერტანტის ოფიციალური რეცენზენტი და ოპონენტი.

ქართველი ხალხი პატივს მიაგებს თავისი ღირსეული შვილის ხსოვნას, რომლის დაბადების 85-ე წლისთავი ახლა აღინიშნება.

ვასილ ჩანტლაძე, აკადემიკოსი;

ვლადიმერ პაპავა, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ბიძინა ხახია, პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

საკუთარ სახლში

ფარები მივიდნენ შირაქის საძოვრებზე

ფარების ძოვებას შეუდგნენ ბრიგადები, რომლებმაც პირველებმა მიაღწიეს შირაქის საძოვრებს. მათ ძნელი 400-კილომეტრიანი გზა გამოიარეს თრიალეთიდან და წლების მანძილზე საცხოვრებლად გამართულ მასივებზე გამოზამთრებას შეუდგნენ დედოფლისწყაროს რაიონის მეურნეობათა მოიჯარეები. ცხვრის მომავალ დოლთან დაკავშირებული დაძაბული ამოცანების შესრულებას ხელს შეუწყობს მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც აქ ზაფხულის განმავლობაში შეასრულეს სოფლების ქვემო ქედისა და ზემო ქედის, მირზაანის, დედოფლისწყაროს კოლმეურნეობებმა, სხვა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. მაგალითად, ღაბეში ოლეში, ნაზარლებში, ჩათმაში გარემონტებული და დათბუნებულია მწყემსთა საცხოვრებლები, ფარეხები, სამომვლო განყოფილებანი და საკრავები, დამხმარე სათავსები, განახლებულია მრავალი საკვებური.

— მართალია, სიახლეები ამჟერად საძოვრებზე ბევრი არ არის, — გაგვიზიარეს აზრი სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის რაიონულ გაერთიანებაში. — გამოსაზამთრებლად პირუტყვის მომზადებაზე გავლენა იქონია ხე-ტყის, ცემენტის, შიფერის, წყალსადენი მილების დეფიციტმა. მეტი სახურავები, გზები უნდა შეგვეკეთებინა, მოგვემზადებინა სხვადასხვა საკვების მარაგი.

სპეციალისტებმა გვაცნობეს ისიც, რომ მნიშვნელოვნად გაძვირდა რკინიგზით პირუტყვის ტრანსპორტირება. თუმცა ბრიგადებს გადაჰყავთ საერთო სულადობის დაახლოებით მეხუთედი, ამ მიზნებისათვის ხარჯები დიდ თანხას შეადგენს. თუ ორი წლის წინათ საშუალოდ ერთი ცხვრის მიყვანა მაღაროს სადგურში სულ 80 კაპიკი ჯდებოდა, ახლა ამისათვის ორჯერ მეტის ხარჯვა უხდებათ. ამასთანავე მოიმატა ვეტპრეპარატების, მედიკამენტების, ყველა სახეობის მომსახურების ფასმაც.

ამ სიძნელეებთან ერთად მეცხვარეთა ბრიგადების მუშაობას ძლიერ აფერხებს საკვების ნაკლებობა. ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული საძოვრების სათანადო მოვლა, რის გამოც თითქმის ყველგან გაღარიბდა ბალახის საფარი. ამჟამად იგი რამდენადმე უფრო მდიდარია მხოლოდ ტარიბანისა და ჩაჩუნის მასივებზე. ამიტომ გათვალისწინებულია საკვებით დიდად დაეხმარონ ბრიგადებს მოიჯარე მეურნეობანი, განსაკუთრებით დოლის პერიოდში.

გათვალისწინებულია, რომ დოლის დროს საშუალოდ ყოველ ნერბზე ბრიგადები მიიღებენ და შეინარჩუნებენ სულ ცოტა 85 ბატკანს. დედოფლისწყაროელმა მეცხვარეებმა, რომელთა ფარები წლების მანძილზე საუკეთესო იყო რესპუბლიკაში, აუცილებლად უნდა მიაღწიონ ამ საწარმოო მიჯნას.

ვალერიან ბაბუაძე,
საქინფორმის კორ.



მალე დოლი დაიწყება

თეთრი წყაროს რაიონის წინწყაროს მეცხოველეობის საზოგადოებრივი მეურნეობის მეცხვარეები ემზადებიან საპასუხისმგებლო კამპანიისათვის — დოლისათვის. ფარაში მათ სამიათასამდე სული ცხვარი ჰყავთ, მათ შორის 1200 ნერბია. მეცხოველეები იმედოვნებენ, რომ ყოველ ას ნერბზე 88 ბატკანს მიიღებენ და ნამატს სრულად შეინარჩუნებენ.

წინასწარი მონაცემებით თითოეული ცხვრის ნაპარსი ორნახევარი კილოგრამი იქნება.

სურათზე: მეცხვარე ა. ჯაფაროვი, რომელმაც ვალდებულება იკისრა, ყოველ ას ნერბზე 90 ბატკანი შეინარჩუნოს.

იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საზღვარგარეთ

იშტვან ჩიჩერი-რონაი

„ოსეთის საკითხი"

(გაზ. „ნეპსაბადშაგი")

„**მატესალკაში** (უნგრეთის ქალაქია) ბოშებმა დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადეს და ამის მერე აქაური მოსახლეობა, რიცხობრივად სამჯერ რომ აღემატება აქაურსავე ბოშებს, ამ სახელმწიფოს მოქალაქეებად ითვლება. ამის წინააღმდეგ ბუდაპეშტის მთავრობის მიერ მიღებული ზომები მთელ მსოფლიოს ადამიანის უფლებათა მოსპობად მიაჩნია". დაუჯერებლად ჟღერს ეს ამბავი, არა? მაშ რატომ ვირწმუნოთ ასეთივე ინფორმაცია ან უფრო სწორად — დეზინფორმაცია საქართველოდან, რომელიც დღემდე ოკუპირებულია 300 000-იანი რუსის ჯარის მიერ?

სამხრეთელი ოსებიდან, რომლებიც რამდენიმე საუკუნის წინათ კავკასიის გადმოღმა საქართველოში გადმოსახლებულან, 65 ათასი ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს. იმისათვის, რომ ისინი სტალინს ხელს უმართავდნენ საქართველოს ბოლშევიზაციაში, 1922 წელს ფორმალური ავტონომია მიიღეს. მაგრამ სტალინური ტიპის ამ ავტონომიას ეროვნულ საკითხთან არავითარი კავშირი არა აქვს: როცა ერთი წლის წინათ მოსკოვის შუამდგომლობით სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა (და ამით თვითონვე შეწყვიტა თავისი უფრო ვიწრო ავტონომია), საქართველოს მთავრობამ მათი კულტურის ინსტიტუტები ხელუხლებლად დატოვა. 65 ათასი ოსის გარდა სამხრეთ ოსეთში სამჯერ მეტი ქართველი ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, რეგიონში არსებული 145 საერთო სკოლიდან 90-ში სწავლება ოსურ ენაზეა; აქვთ თავიანთი ინსტიტუტი, თეატრი, გაზეთი — ყველაფერი ოსურ ენაზე. (საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კიდევ 100 ათასი ოსი ცხოვრობს, რომლებიც სულაც არ ფიქრობენ „ჩამოშორებას").

ავტონომიის კომუნისტური ნომენკლატურა ვერ შეურიგდა იმას, რომ საქართველომ თანდათანობით სუვერენიტეტი მოიპოვა და ჩრდილოეთ ოსეთიდან გამოგზავნილი ტერორისტებით შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. ჩრდილოეთ ოსეთში 250 ათასი ოსი ცხოვრობს, რომელთაც უახლოეს წარსულშიც კი თავიანთი სკოლები არ ჰქონიათ. ჩრდილოეთელი ოსების გარუსება ნამდვილი კულტურული გენოციდია. რატომ ამაზე არაფერს წერს პრესა?

არც იმაზე, თუ რას უშვრებიან სამხრეთელი ოსები ავტონომიის მოსახლეობის უმრავლესობას რომ ქართული სკოლები გაუუქმებიათ, რომ მრავალი ათასი ქართველი იძულებული გახდა აყრილიყო და თავშესაფარი ეძებნა თავისი სამშობლოს სხვა რაიონებში. არავის ხმა არ ამოუღია იმ გოგონაზე, რომელიც მამამისის თვალწინ გააუპატიურეს, არც იმათზე, ვინც ხეზე ფეხებით დაკიდეს.

საქართველოს გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირგამომთხრელად მოსკოვი იმ მეთოდებს იყენებს, რომლებსაც ბალტიისპირეთიდან იცნობს. იქ, მაგალითად, ამბოხებისათვის აქეზებდნენ ლიტვის პოლონელთა ეროვნულ უმცირესობას და ყალბი ინფორმაცია მთელ მსოფლიოს მოჰფინეს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეროვნული საკითხი გორბაჩოვისთვის ნამდვილი შავი ლაქაა. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა სამარცხვინო როლი შეასრულა მან სომხეთში მიწისძვრის დროს, როცა ყარაბაღის კომისია დააპატიმრა. სომხეთა წინააღმდეგ სამარი მოქმედების მერე აზერბაიჯანში მის მიერ დიდი დაგვიანებით გაგზავნილმა რაზმებმა სისხლის ტბები დააყენეს.

თბილისში მომხდარი საშინელი თავდასხმის (9 აპრილს) მერე, როცა გაზების გამოყენებასაც არ მოერიდნენ, დღემდე არავინ იცის, რა პასუხისმგებლობა ეკისრება გორბაჩოვს ამ საქმეში. განსაკუთრებული ნოსტალგიის გამო ველიკორუსებს დემოკრატთა გამოუკლებლივ სურთ, რომ საქართველო კავშირში დატოვონ: ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ელენე ბონერი ჟურნალ „მეტროპოლში" წერდა ამ სტრიქონებს: „გამსახურდიას უნდა „ვუმადლოდეთ", რომ დავკარგეთ სამხრეთი კავკასია, რომლის მნიშვნელობა ერმოლოვსაც კი (მეფის იმპერიისათვის კავკასიის დამპყრობს) კარგად ესმოდა. ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც კი შესაძლებელია, რომ სომხეთი მაინც შევინარჩუნოთ".

ვგონებ, იმედი აქვთ, რომ საქართველოს თუ წევრ სახელმწიფოდ არა, სატელიტად მაინც გარდაქმნიან გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობით, შეიარაღებული აჯანყებით და „ოსეთის საკითხის" ნიადაგ წამოყენებით, გამსახურდიასი, რომელსაც მოსახლეობის 87 პროცენტმა მისცა ხმა.

ომების მთავარი მსხვერპლი

მეოცე საუკუნის ომებში მთავარი მსხვერპლია სამოქალაქო მოსახლეობა და არა ჯარისკაცები. თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში ყოველი ათი მოკლულიდან ცხრა მშვიდობიანი მცხოვრები, ძირითადად, ბავშვები, ქალები და მოხუცები არიან.

ეს მონაცემები მოიყვანეს ლიტვაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობენ 12 ქვეყნის სამხედრო მედიკოსები. თავისი კოლეგების წინაშე გამოსვლისას, კანადელმა ქირურგმა კრის გიაზუმ, რომელიც მუშაობდა საერთაშორისო წითელი ჯვრის რაზმების შემადგენლობაში სომალში, ლიბანსა და კამბოჯაში, მოიყვანა ასეთი ციფრები: პირველ მსოფლიო ომში 9,8 მილიონი დაღუპულიდან 14 პროცენტი სამოქალაქო მოსახლეობაზე მოდიოდა. მეორე მსოფლიო ომში ამ წილმა შეადგინა 67 პროცენტი 52 მილიონი დახოცილიდან. 1945 წლიდან მოხდა 100-ზე მეტი დიდი კონფლიქტი, რომლებშიც 20 მილიონი კაცი დაიღუპა. მათგან 90 პროცენტი მშვიდობიანი მცხოვრებლები არიან.

გიაზუს აზრით მოსპობის ახალი ტექნიკა და ახალი, თუნდაც „ჩვეულებრივი" საშუალებები ამ მხრივ სიტუაციას კიდევ უფრო აუარესებენ. კამბოჯაში, მაგალითად, მრავალი წლის შეიარაღებული ბრძოლის მანძილზე ტყე მოიფინა ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმებით: მათი მეტი ნაწილი გაკეთებულია პლასტმასისაგან და აღმოჩენა ნაღმის საძებნელებით ჭირს, ნამსხვრევები კი სხეულში ძნელად ამოიცნობა რენტგენით გაშუქების დროს.

ბევრ მედიკოსს მიაჩნია, რომ საჭიროა რაღაც სამართლებრივი საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც შეაჩერებენ ბარბაროსული ომის პრაქტიკას. ამასთან მათ ესმით, რომ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს მოიწონეს „დუმ-დუმის" ასაფეთქებელი ტყვიების გამოყენების ამკრძალავი კონვენცია, რადგან ისინი მეტისმეტად დიდ ტკივილს იწვევენ. ახლა გამოყენებული ნაღმები კი გაცილებით უფრო საშიშია.

უნგრული პრესა საქართველოზე

ამ რამდენიმე ხნის წინათ (ივლისში) ჩავედი უნგრეთში და მთელი ამ დროის მანძილზე ვკითხულობდი ჩვენს პრესას: ვინ რას წერს საქართველოზე. უნდა ითქვას, რომ უნგრული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს და ამჟამად აქ მიმდინარე ამბებს. მე თვითონაც შევიტანე წვლილი იმ საქმეში, რომ უნგრელი მკითხველებისთვის გამეცნო რეალური მდგომარეობა. ახალ და ძალზე პოპულარულ გაზეთში „უი მადიარორსაგში" (ახალი უნგრეთი") 21 ოქტომბერს დაიბეჭდა ინტერვიუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, და ამ დაწვრილებით მასალებში გამოქვეყნდა მისი ვრცელი ბიოგრაფიაც, აგრეთვე 1956 წლის პროკლამაცია, რომელშიც იგი მხარს უჭერდა უნგრეთის რევოლუციას, დაიბეჭდა პრეზიდენტის ფოტოსურათიც. სწორედ უნგრეთში საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლის წინ მოვაგვარეთ გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" და „უი მადიარორსაგის" კონტაქტები და თანამშრომლობა, და შევძელი მკითხველებს ვახაროთ, რომ ცხოველი კონტაქტები დამყარდება საქართველოსა და უნგრეთის პრესას შორის. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უნგრეთშიც იბეჭდებოდა ისეთი სტატიები, რომლებიც მოსკოვისა და დასავლეთის პრესის სააგენტოთა (საკდესი, რეიტერი) გავლენით გაყალბებულად აღწერდნენ, ფაქტებს. იბეჭდებოდა გაყალბებული ფოტოსურათები (მაგალითად, რეიტერიდან მიღებული გამსახურდიას ფოტოსურათი გაზეთ „ნეპსაბადშაგში," რის შემდეგაც ბოდიში მოიხადეს და მისი ნამდვილი ფოტოსურათი დაბეჭდეს).

განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ეს უნგრეთის სოციალისტური პარტიის გაზეთის, „ნეპსაბადშაგისა" და „ხეტი მადიარორსაგისთვის". ამ, ასე ვთქვათ, „სენსაციური", სტატიების სათაურებიც კი მიუთითებდა, რომ აქ საქმეში ჩაუხედავად განმარტავდნენ მოსკოვში აკრედიტებულ უნგრელ ჟურნალისტთა ინფორმაციებს. („მარქსიზმ-ნაციონალიზმის ნაცვლად", „ოპოზიციას ტყვია დაუშინეს", „სისხლისღვრა საქართველოში", „გამსახურდიას სერიოზული საფრთხე შექმნა"). ზოგიერთი გაზეთი („მადიარ ნემზეთი" და „უი მადიარორსაგი" გაყალბებული ფაქტების გამოქვეყნების შემდეგ ბოდიშს იხდის და აღიარებს, რომ ცნობები ყალბი აღმოჩნდა. მაგალითად: „კიტოვანმა პარასკევს გამოაცხადა, რომ გამსახურდიას მომხრეებს 60 უიარაღო გვარდიელი დაუხოციათ. ცნობა ყალბი აღმოჩნდა, ამრიგად, ოპოზიციის ზოგიერთ ხელმძღვანელს საეჭვოდ მიაჩნია გვარდიელებთან დადებული შეთანხმება". „მადიარ ნემზეთი" და „უი მადიარორსაგი" ცდილობენ რეალურად შეაფასონ ამბები და სიმპათიით მოიხსენიებენ საქართველოს მისწრაფებას სრული დამოუკიდებლობისკენ. „უი მადიარორსაგის" უცხოეთის ამბების რედაქციის მთავარმა რედაქტორმა პეტერ ფორტმა ორი საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. სტატიაში „გორბაჩოვული ქათმის სიბრმავე" იგი წერს: „ცენტრალური ხელისუფლება, თუ იგი საერთოდ არსებობს, როგორც ჩანს, კანონიერად არჩეული საქართველოს მთავრობისა და ოპოზიციის დავაში, რომელსაც შეიძლება სისხლისმღვრელი შეტაკებანი მოჰყვეს, მხარს არ უჭერს პრეზიდენტ გამსახურდიას. საქართველოს მეთაური, უდაოდ, ნებისყოფიანი კაცია. ეროვნულ პოლიტიკაში ზოგიერთი მოუქნელობის გამო შეიძლება გავაკრიტიკოთ კიდეც, მაგრამ მაშინ ბალტიისპირელ პოლიტიკოსების პოლიტიკური გეზიც გასაკრიტიკებელია.

უკანასკნელი თვეებისა და წლების პოლიტიკური ამბები გვიჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი იმუქრება „საგანგებო წესებს შემოვიღებო" და, კერძოდ, იარაღით ჩავერევი კავშირიდან გასვლის მსურველი რესპუბლიკების საქმეებში, ეს ბრძოლა მაინც გაიკაფავს გზას და გაიმარჯვებს აღიარებული სუვერენიტეტის წყურვილი, რასაც უნდა ფიქრობდეს ამის გამო გორბაჩოვი".

იშტვან ჩიჩერი-რონაი „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებლის მიხაი ზიჩის შვილიშვილია. იგი წელს დაბრუნდა უნგრეთში ამერიკიდან (მან სამშობლო მიატოვა 1956 წელს, უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, რომელშიც ძალზე აქტიურად მონაწილეობდა). იგი ყოფილა საქართველოში და აინტერესებს არა მარტო მიხაი ზიჩის მემკვიდრეობა, არამედ საქართველოს მღელვარე პრობლემებიც. მან გაზეთ „უი მადიარორსაგისთვის" ინტერვიუ ჩამოართვა ნელი გუნცაძეს — თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის პროფესორს. ქალბატონი ნელი უნგრეთში ყოფილა უნგრეთის კულტურის სამინისტროს მიწვევით. სტატიას ასეთი სათაური ჰქონდა — „საქართველო: რას წარმოადგენს ოპოზიცია?". სწორედ ამ სტატიიდან მომყავს ფრაგმენტი: „უცნაურია ისიც, რომ დემონსტრაცია სწორედ მაშინ მოხდა, როცა პრეზიდენტ გამსახურდიას მოლაპარაკება ჰქონდა ამერიკის კონგრესის წარმომადგენლებთან საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე. კიდევ უფრო გასაკვირია, რომ ყოველივე ეს მოხდა მაშინ, როცა მოსკოვში სახალხო დეპუტატთა ყრილობამ დეკლარაციულად გამოაცხადა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და ეს დამოუკიდებლობა საქართველოსთვისაც უნდა მიენიჭებინათ. მაგრამ რატომღაც გამორჩათ...

— მოვიდა ცნობა, რომ ოპოზიციის ხელმძღვანელები მთაში გაქცეულან დაპატიმრების შიშით. სად არის სიმართლე?

— ის, ვისაც ამ შემთხვევაში „ოპოზიციის" ლიდერს უწოდებენ, ჩვენი ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუაა, რომელიც არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, პუტჩამდე ერთი დღით ადრე (17 აგვისტოს) უარი თქვა თავის პოსტზე და განაცხადა, გამსახურდიასთან ერთად ვერ ვიმუშავებო. პუტჩის დამარცხების შემდეგ ეროვნული გვარდიის პატარა ჯგუფთან ერთად რაიონულ ცენტრში წავიდა და იქიდან ულტიმატუმურად შემოუთვალა გამსახურდიას, პრეზიდენტობიდან გადადექიო. მან პრეზიდენტს დააბრალა, დემოკრატიულობა აკლიაო.

— ხომ არ შეიძლება, ამ ორ მოვლენას, რომლებიც საქართველოს მთავრობის დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად, ერთი საერთო სათავე მოვუძებნოთ?

— რა თქმა უნდა, მოსკოვი ძალ-ღონეს არ იშურებს, ოღონდ საქართველო შეინარჩუნოს. თანაც, სამხრეთ ოსეთში შედარებით მშვიდი ვითარება მაშინ შეიცვალა, როცა თბილისში შეიარაღებული დემონსტრაცია მოეწყო. საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით საქართველო უფრო ძნელ მდგომარეობაშია, ვიდრე ბალტიისპირეთი: ჩვენ რამდენადმე მნიშვნელოვანი ემიგრაციაც კი არა გვყავს, ასე რომ, ძირგამომთხრელი საქმიანობით და აქციებით დასავლეთში სახელს უტეხენ ჩვენს ერს, როცა, ცალმხრივად აშუქებენ ამბებს. დასავლეთის სააგენტოები ხომ უპირატესად იმ ცნობებს სჯერდებიან, რომლებსაც მოსკოვიდან იღებდნენ".

საინტერესოა იშტვან ჩიჩერი-რონაის სტატია, რომელიც ყოველკვირეულ „ხეტი მადიარორსაგს" გაუგზავნა და რომელშიც დაიბეჭდა სტატია „რა გვლის, საქართველოვ?", სადაც ავტორი მკვახედ აკრიტიკებს გამსახურდიას პოლიტიკას. ამ ტენდენციური გამოხდომებისა და პრიმიტიული ცილისწამების პასუხად დაიწერა ჩიჩერი-რონაის წერილი:

„პატივცემულო რედაქციავ!

როცა „ხეტი მადიარორსაგის" 4 ოქტომბრის ნომერში წავიკითხე სტატია „რა გვლის, საქართველოვ?" და სულის სიღრმემდე აღვშფოთდი, თქვენი გაზეთი ან მოსკოვის რუპორია, ან თვითონ აღარ მსახურებს დემოკრატიული კანონიერი სახელმწიფოს იდეებს.

საქართველოში უმრავლესობამ (87 პროცენტმა) აირჩია პრეზიდენტად გამსახურდია. თქვენი გაზეთი მაინც უკმაყოფილოა იმით, რომ „გამსახურდიამ ომი წამოიწყო იმათ წინააღმდეგ, ვინც კანონიერად მიღებული პოსტიდან მისი გადადგომა მოითხოვა". სტატია პრეზიდენტს „პატარა სტალინს" უწოდებს და დასძენს: „რამდენადაც პრეზიდენტის კონსტიტუციური გზით დამხობა შეუძლებელია, ოპოზიციამ პრაქტიკულად ქუჩაში უნდა გადაწყვიტოს საკითხი". ანდა თქვენი გაზეთი მხარს უჭერს ბარიკადებზე შეიარაღებულ ბრძოლას კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ? ასეთი რამ ჩვენს იმ ფანატიკოსებსაც კი არ მოუსურვებიათ, რომლებსაც სძულთ ანტალი (იოჟეფ ანტალი — უნგრეთის პრემიერ-მინისტრი).

აი, მომდევნო წინადადებაც (გამსახურდიასგან „ძალაუფლების გადამეტების" ნუსხიდან), თითქოს მოსკოვის ხმა ისმის: „საჰაერო სივრცისადმი კონტროლის ხელში აღების გამო აღშფოთებას გამოთქვამდა თავდაცვის ცენტრალური სამინისტროც".

გესმით? მოსკოვის თავდაცვის სამინისტრო?

რა თქმა უნდა, გამსახურდია, ისევე როგორც ლანდსბერგისი, ურყევი და შეუდრეკელი კაცია. მაგრამ რომელი კანონიერად არჩეული ლიდერი შეურიგდება იმას (ან როგორ შეიძლება შეურიგდეს?), რომ შეიარაღებული მეამბოხენი ცენტრალურ ტელევიზიას იკავებენ და პრეზიდენტის დამხობას მოითხოვენ?

პატივისცემით
იშტვან ჩიჩერი-რონაი"

ლანდსბერგისი იტალიაში

იტალიის დედაქალაქში მყოფი ლიტვის პარლამენტის მეთაური ვიტაუტას ლანდსბერგისი ორშაბათს შეხვდა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჯულიო ანდრეოტის. როგორც იტალიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ვ. ლანდსბერგისმა კაბინეტის მეთაურს მიმართა თხოვნით „დასავლეთის სხვა სახელმწიფოებთან ერთად მოახდინოს გავლენა სსრ კავშირზე, რათა მიაღწიონ ლიტვის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების უსწრაფეს გაყვანას". ლიტვის პარლამენტის ხელმძღვანელმა გამოთქვა შეშფოთება სსრ კავშირში კრიზისის გაღრმავების გამო.

შეხვედრაზე აგრეთვე განიხილეს იტალია-ლიტვის ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

გაზეთები ასი პროცენტით გაძვირდა

რუმინეთის ყველა ცენტრალური გაზეთი ასი პროცენტით გაძვირდა. ყოველდღიურ „სიურპრიზებს". შეჩვეული მკითხველები უკვე აღარ ჩქარობენ ორ-ორი და სამ-სამი გამოცემის შეძენას, არამედ დიდხანს ეკითხებიან გამყიდველს, თუ რას წერს ესა თუ ის გაზეთი.

რუმინეთის უდიდესმა გამოცემებმა — „ადევერულმა", „რომანია ლიბერემ", „ტინერეტულ ლიბერმა" პირველ გვერდებზე გამოაქვეყნეს დღის წერილი, რომელიც მოუწოდებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს თეოდორ სტოლოჟანს „არ დაუშვას პრესის გაკოტრება ქვეყანაში". მიმართვაში წამოყენებულია მოთხოვნა გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრები ქაღალდის, საგამომცემლო საქმიანობისა და სატრანსპორტო ხარჯების ადრინდელ და ახალ ფასებს შორის განსხვავების დასაფარავად.

გადადის რესპუბლიკის იურისდიქციაში

თათრეთის ტერიტორიაზე საკავშირო და რუსეთის დაქვემდებარების ოცი საწარმო გადავიდა ამ რესპუბლიკის იურისდიქციაში, წერს დღის გაზეთი „პრავდა". კიდევ ოცდაათზე მეტი საწარმო ემზადება ხელახალი რეგისტრაციისათვის, რომელიც ორი წლის წინათ დაიწყო თათრეთის პრეზიდენტის მუჰამათ შაიმიევის ბრძანებულებით. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საწარმოთა მხოლოდ ორი პროცენტი იყო რესპუბლიკის საკუთრება. თათრეთის იურისდიქციაში გადასული საწარმოებისათვის გათვალისწინებულია მთელი რიგი შეღავათები.

ასეთ საწარმოთა მოგება დაიბეგრება 25-პროცენტიანი გადასახადით 35 პროცენტის ნაცვლად, რასაც რუსეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა. უფრო დაბალი პროცენტით გაიცემა საბანკო კრედიტი. თავდაცვითი საწარმოებისათვის გათვალისწინებულია სამმაგი ხელშეკრულებანი — რესპუბლიკის, საერთო-საკავშირო და რუსეთის სტრუქტურებს შორის.

ერაყში გაემგზავრა გაეროს ექსპერტთა ჯგუფი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ გაემგზავრა ერაყში, რათა დაადგინოს, შეიძლებოდა თუ არა ერაყს გადაემალა მასობრივი მოსპობის იარაღის მარაგი.

„იჯიპშნ გაზეტი" იმოწმებს ერაყში მოქმედი გაეროს ყველა ექსპერტის ხელმძღვანელის ლივინგსტონის განცხადებას და იუწყება, რომ ერაყში ჩასული ჯგუფი ეწვევა ბაღდადის მიერ „გამოცხადებულ და გამოუცხადებელ" იარაღის წარმოებისა და შენახვის ადგილებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომისიის წევრებმა, რომელიც პასუხისმგებელია ერაყში მასობრივი მოსპობის იარაღის განადგურებისათვის, ოქტომბერში გამოთქვეს აზრი, რომ ერაყის ხელისუფლებამ დაუმალეს მათ ბიოლოგიური იარაღის შემუშავებისა და წარმოების ზოგიერთი ადგილი.

ჯვარელებს უხმობს გიორგობა

ამერ-იმერში, ჯვარი — ქრისტიანული სიმბოლო სახელდებული მრავალი სოფელი არის: ცნობილია ჯვარბოსელი, ჯვარეთი, ჯვარი, ჯვარიქეთი, ჯვარისა, ჯვარისუბანი, მაგრამ ქალაქი ჯვარი ერთადერთია!

მდინარე ენგურისა და მდინარე მაგანის ნაპირებზე შეფენილი ქალაქის სახელწოდების ზეპირი გადმოცემა ანდრია მოციქულის სახელს უკავშირებს, ვინაიდან ტაო-კლარჯეთიდან ეგრისში გადმოსულ ქრისტეს მოწაფეს აქ აღუმართავს ჯვარი...

შემდეგში წმინდა მოციქულთა სწორის ნინოს დროს ამ ჯვარის ადგილზე აღუშენებიათ ჯგეგეს, ანუ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

საერთოდ, ჯვარს თემში 1921 წლამდე შვიდი ეკლესია მოქმედებდა. ამას ღაღადებენ საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური არქივის ფონდებში დაცული განძეულობათა აღწერის ოქმები, რომელსაც ხელს აწერენ ერთი მხრივ ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები, ხოლო მეორე მხრივ ამ ეკლესიათა მსახურნი...

განვლილ 70 წელიწადში ქალაქ ჯვარის და მისი შემოგარენის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ბოლო 30 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა ენგურჰესი, მშენებელთა მამაცობა და შემართება, სამწუხაროდ, ენა, მამული, სარწმუნოება, ჯვარული სალოცავები, ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლები ათასში ერთხელ თუ ვინმეს გაახსენდებოდა.

ჭეშმარიტი რწმენის დავიწყებას, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას რაც მოჰყვა, დაკვირვებულმა მკითხველმა კარგად უწყის — საკმარისია ითქვას, ძირძველ ჯვარელთა შვილების დიდი ნაწილი რუსულ სკოლებში აღმოჩნდა...

ჯვარში ყოველთვის ზარ-ზეიმით იმართებოდა ოქტომბრის, მარტის, აპრილის, მაისის თუ ნოემბრის საბჭოური დღესასწაულები, მშენებელთა და ენერგეტიკოსთა დღეები, ხოლო ტრადიციული ხალხური და რელიგიური დღეობები მალულად და მხოლოდ ოჯახურ წრეში აღინიშნებოდა.

და აი, შაბათს, 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს 10 საათისათვის ჯვარი წმიდა გიორგის ეკლესიის ნაფუძარზე უხმობს ყველა ჯვარელს და ჯვარის ყველა ჭეშმარიტ გულშემატკივარს. ამ დღის მთავარი სანახაობაა ეკლესიის აღდგენა-აშენებისადმი მიძღვნილი რელიგიური რიტუალი, შემდეგ გაიმართება შემოქმედთა ნაწარმოების გამოფენა, ხალხური თვითშემოქმედების დათვალიერება, ეროვნული თამაშობანი და, რაც მთავარია, ჯვარელთა და ჯვარის ქომაგთა საქმიანი შეხვედრა დიალოგი — ჩემი სიტყვა და საქმე მშობლიურ ქალაქს".

ერთი სიტყვით, ორიათასწლოვანი ქალაქი ჯვარი უხმობს ყველას ვისაც ჯგეგე — წმიდა გიორგის ეკლესიის აღდგენა-აშენების და გიორგობის დღესასწაულის ორგანიზება-განახლების ჭეშმარიტი სურვილი აქვს.

ჯვარი უხმობს ყველას, ვისაც სწადია სიტყვით თუ საქმით იღვაწოს ჯვარში წამოჭრილი ეროვნული, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული თუ სხვა სახის საკითხების მართებულად და წარმატებით გადაწყვეტისათვის.

გიორგობას გილოცავთ, ძვირფასო თანამოქალაქენო!

ზვიადი ჭანია

* * *

სურათებზე: ჯვარელ მოძღვართა, მასწავლებელთა და მოწაფეთა ერთი ჯგუფი 1888 წელს დაარსებული ჯვარის სკოლის ეზოში (1910 წელი); ჯვარის ჯგეგის — წმიდა გიორგის ეკლესიის ნგრევისას (1924); 1990 წლის 23 ნოემბერი — გიორგობის დღესასწაული.

ავტორის და თამაზ შურუას ფოტოები.

საჭიროა მიზანდასახული საგარეო პოლიტიკა

უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე ქ-ნი მედეა თუშმალიშვილი და ამავე კომისიის წევრი ბ-ნი ნიკოლოზ კილასონია რამდენიმე დღის წინ დაბრუნდნენ საფრანგეთიდან. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა ქალბატონ მედეა თუშმალიშვილს.

— რა მიზნით ჩაბრძანდით საფრანგეთში?

— საფრანგეთში ჩვენი ჩასვლის მთავარი მიზანი საპარლამენტო კონტაქტების დამყარება გახლდათ. ამასთანავე განზრახული გვქონდა შევხვედროდით ფრანგ ჟურნალისტებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებსა და ქართულ ემიგრაციას. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, შესაძლებელი გახდა ჩვენი შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტის, ბატონი მიტერანის პირველ მრჩეველთან, ბატონ პიერ მორელთან. იმ ფაქტმა, რომ ბატონმა მორელმა თვითონ გამოთქვა ჩვენთან შეხვედრის სურვილი, ერთგვარი იმედი ჩაგვისახა და, მე ვიტყოდი, გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ჩვენი შემდგომი შეხვედრების წარმატებაც. ჩვენი საუბარი ბატონ მორელთან საკმაოდ ხანგრძლივი იყო, მისმა უაღრესად კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ და იმის საკმაოდ კარგმა ცოდნამ, თუ რა ხდება დღეს საქართველოში, ერთობ გამაკვირვა. რაც უფრო დიდხანს ვსაუბრობდი ბ-ნ მორელთან, მით უფრო ნათელი ხდებოდა ჩემთვის, რომ ის „ცუდი იმიჯი", რომელიც საქართველოს აქვს დასავლეთის პრესაში და რომელიც აგრერიგად აწუხებს ჩემს თანამემამულეებს, ხშირ შემთხვევაში ზერელე და ანგაჟირებული ჟურნალისტიკის სტილი უფროა, ვიდრე პოლიტიკაში მართლაც ღრმად ჩახედული პროფესიონალების.

— კიდევ ვისთან გქონდათ შეხვედრები?

— არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი შეხვედრა საფრანგეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან, ბატონ ვოზელთან. ამ საუბარს კომისიის სხვა წევრებიც ესწრებოდნენ. პარლამენტში ატმოსფერო უფრო უშუალო იყო, ვიდრე ვერსალის სასახლეში და თავს უფრო შინაურულად ვგრძნობდით. ვცდილობდი მათ გაეგოთ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ საქართველო ჯერ არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ყოველივე, რაც დღეს საქართველოში ხდება, იქნება ეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, თუ სხვა რამ, უნდა იქნეს გაშუქებული საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში, რომ საქართველოს, დღეს, ცხადია; არ გააჩნია ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ, მაგრამ ამგვარი რამ შეუძლებელია მოსთხოვო ქვეყანას, რომელმაც მხოლოდ დღეს დაიწყო სოციალისტური სტრუქტურების დემონტაჟი და რომ მას ისეთივე ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები აქვს, რაც აქვს უკლებლივ ყველა პოსტ-კომუნისტურ ქვეყანას. ბატონი ვოზელი განსაკუთრებით დაინტერესდა პრივატიზაციის საკითხებით.

— როგორც ვიცით, ბ-ნი ნიკა კილასონია ეკონომისტია. ამ შეკითხვებს, ალბათ, მან გასცა პასუხი.

— რა თქმა უნდა, ბ-ნმა ნიკა კილასონიამ, რომელიც, სხვათა შორის, შესანიშნავად ფლობს ინგლისურ ენას, საკმაოდ ვრცელი „ლექცია" წაუკითხა მათ, თუ რა უშლის ხელს საქართველოში პრივატიზაციის სწრაფი ტემპით განვითარებას და რა პერსპექტივა აქვს ჩვენს ეკონომიკურ კონტაქტებს მომავალში.

— ფრანგ ჟურნალისტებს თუ შეხვდით?

— ჟურნალისტებს შევხვდით, რა თქმა უნდა. ჩვენი იქ ჩასვლის ერთ-ერთი მიზეზიც ხომ ეს იყო. ჯერ კიდევ ბატონ ვოზელთან ყოფნისას ვუთხარი მას, რომ ფრანგული პრესა მეტად ტენდენციურად აშუქებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და ამიტომ გვინდა ვთხოვოთ გაზეთ „ლე მონდის" რედაქციას მოგვცეს საშუალება დაგვიბეჭდოს ინტერვიუ ან სტატია. ბ-ნმა ვოზელმა გაიცინა და მითხრა: „ქალბატონო, თქვენ კი არა, ჩვენ გვიჭირს პრესაში ოპოზიციური აზრის გამოთქმაო" კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია. ვფიქრობ, რომ ბატონი ვოზელი ახლო მომავალში მოიპოვებს ოპოზიციური აზრის პრესაში გამოთქმის უფლებას, რადგან საფრანგეთი ახალი არჩევნებისათვის ემზადება და თანაც თავისი კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლს ცვლის. ამიტომ, იმედია, რომ მალე მათაც ექნებათ გაზეთი „დრონი"! ჯერჯერობით კი, რადგან საფრანგეთში არ არის არც „დრონი" და არც „მამული", მე და ბატონი ვოზელი ფრანგული „დემოკრატიული" პრესის მსხვერპლი აღმოვჩნდით.

— ტელევიზიას თუ აქვს მეტი თავისუფლება?

— თუ ტელევიზია სახელმწიფო დოტაციაზეა, მაშინ ოპოზიციას ეთერში გამოსვლის უფლება ეძლევა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დროს. სხვა შემთხვევაში, მან უნდა იყიდოს საეთერო დრო ან ჰქონდეს კერძო არხი.

— თქვენ უკვე აღნიშნეთ, რომ ფრანგული პრესა ტენდენციურად აშუქებდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს. დღესაც ასეა, თუ რამე შეიცვალა?

— დღეს იგი დუმს. აი უკვე თითქმის ერთი თვეა, რაც საქართველოზე სტატიები თითქმის აღარ იბეჭდება. ჩვენ შევეკითხეთ ჟურნალისტს, თუ რა არის მიზეზი ასეთი უეცარი დუმილისა? ინტერესი დავკარგეთო, — გვიპასუხეს. ერთ-ერთმა ჟურნალმა კი ასე აგვიხსნა: საბჭოთა კავშირში ყველაფერი ერთი სცენარით მიმდინარეობსო. ყველა კონფლიქტი ერთნაირია, გინდა ყარაბაღი იყოს, გინდა მოლდოვის დნესტრისპირეთიო. ოპოზიციაც ერთნაირი გაქვთო, — ფაშისტი, დიქტატორი ლანდსბერგისი, ფაშისტი, დიქტატორი გამსახურდია და ა. შ.

— განა ლანდსბერგისის მიმართ დღესაც ამგვარი ბრალდებები გაისმის დასავლეთში?

— როგორ არა, სწორედ იმ ჟურნალისტმა გვიჩვენა ჟურნალ „ლე ნუველ ობსერვატერ"-ის 13 ნოემბრის ნომერი, სადაც ლანდსბერგისის ფოტოს ახლავს კაზიმირა პრუნსკენეს გამონათქვამი, რომ ვიდრე ლიტვაში არის ფაშისტური რეჟიმი და ვიდრე ლანდსბერგისი არ ისწავლის რას ნიშნავს დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა, მანამდე ევროპამ არ უნდა მიიღოს ლიტვა ევროპის ქვეყნების კავშირში. მართლაც, ტყუპის ცალივით ჰგავს ქალბატონ კაზიმირა პრუნსკენეს ეს განცხადება პატივცემული დეპუტატის დავით ბერძენიშვილისა და მწვანეთა ლიდერის ბ-ნი ზ. ჟვანიას ანალოგიურ განცხადებას, რომელიც მათ ევროპარლამენტში გააკეთეს ჩვენს ჩასვლამდე ზუსტად ორი დღით ადრე.

— ამ მისიით იყვნენ ისინი ჩასული სტრასბურგში?

— მე არ ვიცი კიდევ რა საპატიო მისიის შესასრულებლად მოგზაურობდნენ ეს პატივცემული ბატონები ევროპის ქვეყნებში, მაგრამ რაკი დიქტატურის რეჟიმის პერიოდში მიცხოვრია, კარგად ვიცი, რომ ასეთი ვოიაჟების უფლებას საბჭოთა მოქალაქეები მოკლებული იყვნენ. ფაშისტური რეჟიმის პირობებში კი ადამიანი მხოლოდ კოშმარულ სიზმარში თუ ჩაიდენდა მთავრობის საწინააღმდეგო ქმედებას. თანაც, პოლიტიკური ნონსენსია ამგვარი განცხადებების გაკეთება. საქართველოს ცნობა თუ არცნობა, ასეთ დონეზე არ წყდება და არც გადაწყდება.

— როგორ ფიქრობთ, რეალურია საქართველოს დამოუკიდებლობის-ცნობა სხვა ქვეყნების მიერ?

— რა თქმა უნდა, რეალურია. საფრანგეთში ყოფნისას მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გამომდინარე დასავლეთის უმძიმესი ეკონომიკური პრობლემიდან, რასაც ჭარბი პროდუქცია ჰქვია, დასავლეთს აინტერესებს ბაზარი და სხვა არაფერი. ამ საკითხს პოლიტიკოსები ბიზნესმენების ძლიერი პრესის ქვეშ გადაწყვეტენ. მით უფრო, რომ ისეთი საკითხები, როგორიც არის ატომის განაწილება, ვალის გადახდა, აღარ ჩანს უკვე ისეთ გადაუჭრელ პრობლემად, როგორც ეს რამდენიმე თვის წინ წარმოგვედგინა. დაისახა რაღაც კონსტრუქციული გზები, აღმოჩნდა, რომ ეს საკითხიც კი შესაძლებელია მოგვარდეს. ასე რომ, აშკარაა, დასავლეთს დღეს აინტერესებს თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენში პრივატიზაციის პროცესი, რამდენად სტაბილურია პოლიტიკური ვითარება. მათ მხოლოდ იმდენად აინტერესებთ პოლიტიკური ვითარება საქართველოში, იქნება ეს მთავრობისა და ოპოზიციის ურთიერთობა თუ კიდევ რაიმე სხვა, რამდენადაც ეს ხელს უწყობს ან ხელს უშლის პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესს.

რაც შეეხება რუსეთს — რუსეთიც უეჭველად ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. სხვა საკითხია, თუ რა შინაარსი ჩაიდება საქართველოს დამოუკიდებლობაში, იქნება იგი ისეთივე „დამოუკიდებელი", როგორიც იყო, მაგალითად, ჰონეკერის გერმანია ან ჟივკოვის ბულგარეთი, თუ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფო? ამიტომაც იბრძვის დღეს ცენტრი და ამიტომაც ებრძვის დღეს იგი ისეთივე გააფთრებით პრეზიდენტ გამსახურდიას, როგორც ებრძოდა იგი ზვიად გამსახურდიას ოცდაათი წლის განმავლობაში.

— როგორ გესახებათ თქვენ ამ ბრძოლის მოგება?

— დიდი მოთმინებით, დიდი ძალისხმევით და დიდი გარჯით. საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდგომარეობა, მდიდარი ბუნება, დიდი ინტელექტუალური პოტენციალი. თუ ჩვენ შევძლებთ ვიყოთ მეტად რაციონალურნი და ნაკლებად ემოციურნი, თუ ჩვენ შევიგნებთ, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში დემოკრატია ავტომატით ხელში არ დამკვიდრდება, თუ ჩვენ მოვერიეთ ჩვენს პირად ამბიციებს და არ დაგვახრჩობს ბოღმა, მაშინ საქართველო, მე მართლაც ღრმადა ვარ დარწმუნებული, სულ რამდენიმე წელში მშვიდობიანი და მდიდარი ქვეყანა იქნება.

— რა მიზნები აქვს თქვენს კომისიას ახლო მომავალში?

— ვფიქრობ, რომ ჩვენ დღენიადაგ უნდა ვიზრუნოთ რაც შეიძლება ახლო ურთიერთობა დავამყაროთ სხვა ქვეყნების პარლამენტებთან. გავაცნოთ მათ ჩვენი თავი, ავუხსნათ ჩვენი სატკივარი. აგრეთვე მიმაჩნია, რომ აუცილებელია სასწრაფოდ მოვიწვიოთ უკრაინის, სომხეთის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, და სხვა რესპუბლიკების პარლამენტთა საგარეო კომისიების თავმჯდომარეები და მათთან ერთად ჩავატაროთ რამდენიმე სხდომა. ეს აუცილებელია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა პერსპექტივა აქვს სხვა რესპუბლიკებს, როგორია მათი მომავალი პოლიტიკური კურსი. ასევე აუცილებლად ვთვლი, რომ საგარეო საქმეთა კომისია და საგარეო საქმეთა სამინისტრო ატარებდეს ერთობლივ სხდომას. საქართველოს საგარეო პოლიტიკამ უნდა მიიღოს მიზანდასახული, მეთოდური განვითარების ხასიათი.

თუ მშვიდობა იქნა, ყველა საქმეს მოევლება.

ფალიაშვილი—120

მასპინძლობს ქუთაისი

აბა რომელი ქართველისათვის არ არის სათუთი და ძვირფასი ქართული საოპერო ხელოვნების კლასიკოსის, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის სახელი, რომლის შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. იგი პირველი ქართველი კომპოზიტორი იყო, რომელმაც თავის ნაწარმოებებით განასახიერა ქართველი ხალხის სულიერი ძალა და მუსიკალური გენია, სწორედ ამიტომაც იქცნენ კომპოზიტორის უკვდავი ქმნილებები ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მარგალიტებად. ისინი დიდი ხანია გასცდნენ ქართულ სცენას და სამართლიანად დამკვიდრდნენ სხვადასხვა საოპერო თეატრების რეპერტუარში.

მადლიერი შთამომავლობა წლეულს აღნიშნავს ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 120 წლისთავს. სწორედ ამ თარიღს ეძღვნება ფესტივალი, რომელიც დღეს გაიხსნება ქუთაისში, ქალაქში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა კომპოზიტორმა.

ფალიაშვილის დღეების პროგრამა მრავალფეროვანია. იგი თავს მოუყრის სხვადასხვა თაობის ქართველ მომღერლებს, მუსიკოს-შემსრულებლებს. მთელი კვირის მანძილზე ქუთაისში იჟღერებს როგორც ფალიაშვილის, ისე სხვა ქართველ კომპოზიტორთა მუსიკა.

ქუთაისის საოპერო თეატრში ფესტივალის პირველ დღეს აჟღერდება „აბესალომ და ეთერი", რომელშიც მთავარ პარტიებს შეასრულებენ როგორც თბილისის, ისე ქუთაისის საოპერო თეატრების წამყვანი სოლისტები, მათ შორის მედეა ამირანაშვილი, ნოდარ ანდღულაძე და სხვები...

ხვალ წარმოდგენილი იქნება ოთარ თაქთაქიშვილის „მერეკილები", ქუთაისის საოპერო თეატრის მსახიობთა მონაწილეობით.

24 ნოემბერს ფესტივალზე სიმფონიური მუსიკა აჟღერდება. აქ შესრულდება ბეთჰოვენის „ეგმონტი" და სულხან ნასიძის სიმფონია „ფიროსმანი", რომელსაც უდირიჟორებს ი. ჭიაურელი. მონაწილეობენ: მედეა ამირანაშვილი და ზინა კვერენჩხილაძე.

ფესტივალის მონაწილეებს საშუალება ექნებათ მოისმინონ აგრეთვე ბიძინა კვერნაძის ახალი ოპერა „მედეა", ქუთათურთა დადგმით.

26 ნოემბერს ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართება შეხვედრა ქართული ბალეტის დიდოსტატთან ვახტანგ ჭაბუკიანთან. საღამოზე, რომელსაც წარუძღვება კოტე მახარაძე, მაყურებელი ქორეოგრაფის ნამუშევარსაც იხილავს — მისი მოწაფეები წარმოადგენენ „შოპენიანას".

ფალიაშვილის დღეები დასრულდება 27 ნოემბერს ოპერა „დაისით" სხვადასხვა თაობის მომღერალთა მონაწილეობით. (**„საქართველოს რესპუბლიკის" კორ.**).

ხსოვნა

ჩვენი დიდი მეგობარი

გარდაიცვალა ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი **სულხან ცინცაძე**, ჩვენი დიდი მეგობარი და თანამოაზრე.

სულხან ცინცაძის მეექვსე სიმებიანი კვარტეტის შესრულებით დაიწყო ჩვენი მოღვაწეობა. ეს იყო ნაწარმოები, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენს დიდ შემოქმედებით ურთიერთობას ბატონ სულხანთან. მისმა მუსიკამ ჩვენთან ერთად მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საკონცერტო დარბაზი და განუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელზე.

25 წლის შემოქმედებითმა მეგობრობამ დიდი კვალი დააჩნია ჩვენს ცხოვრებას. სულხანი იყო ყველა ჩვენგანის უახლოესი ადამიანი. მესაიდუმლე, რომელსაც ვუზიარებდით ჩვენს ფიქრებსა და სანუკვარ ოცნებებს. მისმა უეცარმა წასვლამ ამ ქვეყნიდან საშინელი თავზარი დაგვცა. სიტყვა უძლურია გამოხატოს ის გრძნობა, რომელსაც ახლა განვიცდით. სულხანის შემოქმედებამ უკვდავყო მისი სახელი.

ღმერთო გაანათლე მისი სული იმ ქვეყნად.

საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი
კონსტანტინე ვარდელი,
თამაზ ბათიაშვილი,
ნოდარ ჟვანია,
ოთარ ჩუბინიშვილი.

მარად დაუვიწყარი

საქართველოს მუსიკალური ხელოვნების ცისკიდურს მოსწყდა მკვეთრად ელვარე, კაშკაშა ვარსკვლავი — მოულოდნელად დასრულდა დიდი ქართველი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის ცხოვრების გზა.

ძნელია ბოლომდე აღიქვა მომხდარი, ძნელია გაიმეტო სამარადისო სასუფევლისათვის ის ადამიანი, რომელთანაც ცხოვრების თითქმის ნახევარი საუკუნე გაკავშირებს. სწორედ ორმოციან წლებში ჩაეყარა საფუძველი ჩემს შემოქმედებითსა და ახლო მეგობრულ ურთიერთობას სულხანთან (მაშინაც და შემდეგაც მე მას ყოველთვის სულიკოს ან სულოს ვეძახდი ხოლმე), რომელმაც უკანასკნელ დღემდე არ დაკარგა თავისი სიღრმე და ძალა. სულხანი მაშინ, ჩელოზე დაკვრის დაუფლების პარალელურად, პირველად შეეცადა საკუთარი თავის გამოცდას კომპოზიციის სფეროში. მე კი იმხანად ვხელმძღვანელობდი საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს. ამ კოლექტივის შესრულებით აჟღერდა სულხანის პირველი საკვარტეტო მინიატიურები, ხოლო შემდეგ — კვარტეტები. ნაწარმოებები იქმნებოდა და იხვეწებოდა ინტენსიური შემოქმედებითი კონტაქტების პირობებში; ახალბედა კომპოზიტორის მიერ დაწერილი, თავისებურ შემოწმებას გადიოდა ჩვენს კვარტეტში — ცოცხალ შემოქმედებით ლაბორატორიაში.

პირველივე შეხვედრებიდან ჩვენი კოლექტივისათვის ნათელი შეიქნა, რომ სულხან ცინცაძის სახით მუსიკალურ სამყაროს მოევლინა ჭეშმარიტად ეროვნული სულისა და ბუნების, ღვთისგან მომადლებული უბადლო ნიჭის მქონე დიდი ხელოვანი. მას შემდეგ სულხანმა სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის არაერთი, მხატვრული თვალსაზრისით უეჭველად მნიშვნელოვანი ნაწარმოები შექმნა, მაგრამ, უდავოა, რომ სწორედ სიმებიანი კვარტეტის ჟანრში განსაკუთრებული ძალითა და სისრულით წარმოჩნდა სულხანის უშრეტი ნიჭი, სტილის უტყუარი ალღო, მუსიკალური ხელწერის ორიგინალობა, მჭიდრო კავშირი ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ცხოველმყოფელ სათავეებთან. ამიტომაც დღეს სულხან ცინცაძე ცნობილია და აღიარებული მსოფლიოში, პირველ რიგში, როგორც საკვარტეტო ჟანრის სწორუპოვარი ოსტატი.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მოკრძალებული წვლილი მიმიძღვის ამ გამორჩეული მუსიკოსის ჩამოყალიბებაში.

კიდევ უფრო მეტად მყარი და სისტემატური ხასიათი მიიღო ჩვენმა ურთიერთობამ სულხანთან მისი თბილისის კონსერვატორიის რექტორად თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე მოღვაწეობის პერიოდში, რომლის განმავლობაში მან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა საქართველოში მუსიკალური განათლების სრულყოფის ხაზით.

სულხანი გამოირჩეოდა თავისი პირადული თვისებებითაც. მას ახასიათებდა იშვიათი გულღიაობა, პირდაპირობა, მკაფიო პოზიცია ყველა საკითხში, სულიერი სიფაქიზე, გულისხმიერება და სათნოება. ალბათ, ამიტომაც მის ლამაზ სახეს არ შორდებოდა კეთილმოსურნეობის გამომხატველება და თითქმის ბავშვური უშუალობით აღბეჭდილი მომხიბლავი ღიმილი, რომელიც უმალვე აჯადოებდა და საპასუხოდ განაწყობდა ადამიანს.

სულხანი ყოველთვის შემოქმედებით ორბიტაზე იყო. ვერც ასაკმა, ვერც სერიოზულმა ავადმყოფობამ ვერ შეუკვეცა ფრთები მის ნათელ, მჩქეფარე ნიჭს, ვერც ერთი საათით ვერ გააშვებინა ხელიდან კალამი.

სულხანს რამოდენიმეჯერ უთქვამს ჩემთვის — სულ თორმეტი კვარტეტი უნდა დავწეროო. რა სავალალოა, რომ ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. დაისვა წერტილი მეთორმეტე კვარტეტის უკანასკნელ ფურცელზე და... სულხანი ჩვენთან აღარ არის. ამ ნაწარმოების პირველი ნაწილი აჟღერდება სულხანთან გამოთხოვების ჟამს, მაგრამ, ვაი, რომ იგი მას ვერ მოისმენს!...

მარად დაუვიწყარი ხარ ჩვენთვის, საყვარელო სულხან, ძვირფასო მეგობარო, შუქმფენო ადამიანო, დიდო შემოქმედო, მარად წარუშლელია ჩვენი სამშობლოს მატიანეში შენი ნათელი კვალი.

ბორის ჭიაურელი,
საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, თბილისის კონსერვატორიის კამერული ანსამბლის კათედრის გამგე, პროფესორი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს გივი გეწაძეს მამის
ივანე გეწაძის
გარდაცვალების გამო.

ღვთისშვილთა და მათი ბედით დაინტერესებულ ადამიანთა საყურადღებოდ

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატის საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით, ა. წ. 27 ნოემბერს, ოთხშაბათს, 13 საათზე, ქ. კასპში, ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) კასპის რაიონული ორგანიზაციის შტაბ-ბინაში (ქ. კასპი, მ. კოსტავას, ყოფილი ლენინის 5, ტელ.: 2-39-45) გაიმართება სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის რესპუბლიკური, რეგიონული, რაიონული, საქალაქო და ზონალურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის თათბირი. ღვთისშვილთა კავშირის ორგანიზაციათა თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

ამასთან, კასპელ ღვთისშვილებსა და მათ ახლობლებს ვატყობინებ, რომ ყოველდღიურად მაქვს მოქალაქეთა მიღება აღნიშნულ მისამართზე, 14-დან 17 საათამდე.

მსურველებს ვთხოვ, მობრძანდნენ ან ტელეფონით დამიკავშირდნენ.

ზაზა სიხარულიძე,
სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტი.

სხვა გაზეთებიდან

ინფორმაცია განსჯისათვის

საქართველო: პიკეტების ქვეყანა, აშშ: დაპატიმრებულია 1900 მოპიკეტე

საქართველოს ტელედეპარტამენტის შენობის პიკეტირებისა და ბარბაროსულად დარბევის ათასობით მონაწილე დაუსჯელი დარჩა. ახლა ვნახოთ რა ხდება აშშ-ში შედარებით უფრო უწყინარი სახის პიკეტისათვის. როგორც გაზეთი „იუესეი ტუდეი" (7. 8. 1991) იუწყება, ამა წლის ივლისში ქ. უიჩიტაში (კანზასის შტატი) ასობით ანტიაბორტისტმა (მოძრაობა აბორტის წინააღმდეგ) მოაწყო იმ კლინიკების პიკეტირება, სადაც აბორტის ოპერაცია კეთდება. შტატის მთავარი მოსამართლის პატრიკ კელის გადაწყვეტილებით დააპატიმრეს ამ აქციის 1900-მდე მონაწილე. მანვე განაცხადა, რომ დაპატიმრებები კვლავაც გაგრძელდება, თუ ბოლო არ მოეღება კლინიკების ბლოკირებას. „თუ ჭკუას არ მოვლენ, — თქვა მან,— ვურჩევ, გამოემშვიდობონ თავიანთ ოჯახებს და თან იქონიონ კბილის ჯაგრისი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველანი ციხეში ამოყოფენ თავს".

დაპატიმრებებმა და მუქარამ გარკვეული შედეგი გამოიღო. ანტიაბორტისტებმა შეწყვიტეს კლინიკების შესასვლელების ბლოკირება, მაგრამ არ იშლებიან და ლოცვებითა და სიმღერებით გამოხატავენ თავიანთ პროტესტს აბორტების წინააღმდეგ.

აშშ-ში კანონის უზენაესობის პრინციპი და საერთოდ შეურიგებლობა კანონის ყოველგვარი დარღვევისადმი იმდენად დამკვიდრებულია, რომ წრეგადასული საპროტესტო აქციის მონაწილეთა დაპატიმრების გამო ქვეყანა არავის შეუძრავს. დაახლოებით რამდენი ადამიანი აღმოჩნდებოდა ციხეში შენობების უკანონო დაკავების, პიკეტირებისა და ტრანსპორტის მოძრაობის ბლოკირებისათვის საქართველოს დედაქალაქში, აშშ-ის მართლმსაჯულების სიმკაცრით რომ ემოქმედებინათ, ამის განსჯა მკითხველებისათვის მიგვინდია.

გაზეთი „ეროვნული მილიცია", ნოემბერი 1991 წ.

მხოლოდ ფაქტები

ბატონი გურამ შარაძის პასუხმა („საქართველოს რესპუბლიკა", 19. 11. 1991 წ.) ჩემს წერილზე („ერთი სატელევიზიო გადაცემის გამო", 14. 11. 91) დამარწმუნა, რომ მე სრულიად სწორად გადმოვეცი მისი ნათქვამი და რომ იგი ფაქტობრივად ვერ უარყოფს ჩემი შენიშვნების სამართლიანობას. დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, ემოციებია. პროგრამა „მოამბე"-ში შეტანილ მცირე სიუჟეტში იქნება დაშვებული უზუსტობა, თუ სატელევიზიო გადაცემაში (განა თვით პროგრამა „მოამბე" სატელევიზიო გადაცემა არ არის?), იგი მაინც შესწორებას მოითხოვს. მცდარ დებულებებს მოკლედ ჩამოვაყალიბებთ თუ ვრცლად, ამით მათი ძირითადი არსი არ შეიცვლება. ბატონი გურამ შარაძის საგანგებო „გაფრთხილება" იმის თაობაზე, რომ ამ დღეებში გვიჩვენებს ცალკე ტელეგადაცემას ესპანეთში მცხოვრებ ბაგრატიონებისა და რომანოვების ოჯახებზე — შეცდომების გასწორების გარანტიად ვერ ჩაითვლება. თვით ეს გაფრთხილებაც ხომ უზუსტობას შეიცავს: რომანოვები უკვე რამდენიმე წელია, რაც საფრანგეთში ცხოვრობენ, ესპანეთთან კი მჭიდრო კავშირი აქვთ და ხშირად ჩადიან ხოლმე იქ (სწორედ ესპანეთში გაიცნო გ. შარაძემ ქალბატონი ლეონიდა).

თუ ბატონ გურამს ჩემთვის მადლობის გადახდა სურდა, ეს მაშინ უნდა გაეკეთებინა, როდესაც ჩემი ადრინდელი (1989 წ.) შენიშვნა გაითვალისწინა და თავის წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ" (1991 წ.) მარია რომანოვას მეუღლედ ავსტრიელი ჰერცოგი ჰაბსბურგი აღარ გამოაცხადა. ჩემი დროული შენიშვნა რომ არა, ეს უზუსტობა წიგნშიაც იჩენდა თავს, რის გამოც პრუსიელ პრინცს, ჰოჰენცოლერნს შეეძლო ბატონი გურამ შარაძისათვის ჯარიმის გადახდა დაეკისრებინა. თუ ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ სამართლებრივ სახელმწიფოში, თანდათან უნდა მივეჩვიოთ საერთაშორისო სამართლის ნორმების პატივისცემას. მაგალითად, აშშ-ში გამოცემულ კრებულს, სადაც 1946 წლის აქტიც შედის, ინგლისურ ენაზე აწერია, რომ მისი გადმოცემა წერილობითი ნებართვის გარეშე, არაგზით არ შეიძლება. ამიტომ, სანამ ამ აქტს გამოვაქვეყნებდი, ყოველგვარი შარის თავიდან აცილების მიზნით, ვლადიმერ კირილეს ძეს წერილობით გამოვითხოვე სამისო უფლება და რედაქციას წარუდგინე. აქვს თუ არა წერილობითი დოკუმენტი ბატონ გურამ შარაძეს?

ბატონი პროფესორი ასეთი ლოგიკით მეკამათება: თუ ზეპირ მეტყველებაში ლეონიდა ბაგრატიონისა და ვლადიმერ კირილის ძის დაქორწინების თარიღად უნებლიეთ 1948 წლის მაგივრად 1946 წელი მივუთითე, სამაგიეროდ ჩვენს ტელემაყურებელს ხომ ვუჩვენეო „მათი სურათის დედანი-დოკუმენტი, რომელზეც 1948 წელი წერია (აღნიშნულ დოკუმენტს რედაქციას ვუდგენ!)". ისევ უზუსტობა! ამ სურათის უკანა მხარეზე (რომელიც, სხვათა შორის, სადოსტო ბარათს უფრო წააგავს) მიკრული, გერმანულ ენაზე დაბეჭდილი წარწერა გვაუწყებს, რომ სურათი გადაღებულია მადრიდში „1948/49". დედან-დოკუმენტი ქალბატონი ლეონიდას ახალგაზრდობის დროინდელ სილამაზეს ადასტურებს მხოლოდ, ქორწინებასთან კი საერთო არაფერი აქვს; სამეფო წყვილი 1948 წლის 13 აგვისტოს ქ. ლოზანაში დაქორწინდა და არა მადრიდში. გ. შარაძე არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ თავის ხანმოკლე სატელევიზიო გამოსვლაში მან ქორწინების თარიღის გარდა, ბაგრატიონთა სამეფო ღირსების აღდგენის ობიექტური მიზეზებიც დაამახინჯა, რაც თავისთავად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

ჩემს ადრინდელ პუბლიკაციაში აღვნიშნე, რომ 1981 წელს რომანოვებს დინასტიის განმგრძობი შეეძინათ — გიორგი მიხეილის ძე რომანოვი, ე. ი. მომავალში მან უნდა გააგრძელოს გვარი. ხოლო ბატონი გურამ შარაძის დაზუსტება იმის თაობაზე, რომ ვლადიმერ კირილის ძის „სიკვდილის შემდეგ" ტახტის მემკვიდრე გიორგი რომანოვია — მარია რომანოვას უფლებების იგნორირებაა.

საკმაოდ მიამიტურად ჟღერს შემდეგი მსჯელობა: 1969 წელს მარია რომანოვა, თურმე, მხოლოდ იმიტომ გამოცხადდა ტახტის მემკვიდრედ, რომ იგი ჯერ გათხოვილი არ იყო და ჯერ არ ჰყავდა ვაჟი, „თორემ დღეს რომ ეს საკითხი დადგეს, განა გიორგი რომანოვს არ მიენიჭება უპირატესობა?" უპირატესობის მინიჭების უფლება მარტო მე და ბატონ გურამს კი არა, იმპერატორსაც არა აქვს. თეორიულად, ეს მხოლოდ XVIII საუკუნეში იყო შესაძლებელი; პეტრე დიდის 1722 წლის 5 თებერვლის წესდების მიხედვით, იმპერატორი უფლებამოსილი იყო, ვისაც უპირატესობას მიანიჭებდა, სწორედ ის დაენიშნა ტახტის მემკვიდრედ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ეს წესიც შეიცვალა.

ეკატერინე II ვაჟიშვილი პავლე, სულ იმის შიშში იყო, რომ მშობელს მისთვის მემკვიდრეობის უფლება არ წაერთმია და შვილიშვილისთვის არ გადაეცა. ამიტომ მან 1788 წელს შეადგინა აქტი ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ, რომლის მიხედვით მემკვიდრე კანონის მიერ უნდა ინიშნებოდეს და არა იმპერატორის ნებასურვილისამებრ, „რათა მცირედი ეჭვიც კი არ წარმოიშვას, თუ ვის ეკუთვნის ტახტი". ეს აქტი მხოლოდ 8 წლის შემდეგ, პავლე I მეფედ კურთხევის დღეს დამტკიცდა 1796 წელს და საფუძვლად დაედო ძირითად სახელმწიფო კანონს. სხვათა შორის, აქტში ნათქვამია: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღინიშნოს, რომ არასოდეს არ კარგავს უფლებას ის მდედრობითი სქესის პირი, რომლისგანაც უფლება უშუალოდ მოდის". ეს დებულება კანონების 30-ე მუხლში აისახა. ე. ი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მარია რომანოვა არ კარგავს მემკვიდრის უფლებებს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჰყავს ვაჟი.

ასევე უმართებულოა, ბატონ გურამ შარაძის მიერ დიდი მთავრის — გიორგის ხან რომანოვად, ხან ჰოჰენცოლერნად და ხან „ჰოჰენცოლერნ-რომანოვად" მოხსენიება. გიორგის დაბადებამდე გაცილებით ადრე იქნა მიღებული სათანადო ზომები, რომ იგი რომანოვი ყოფილიყო. მამამისს, პრუსიელ პრინც ვილჰელმ ჰოჰენცოლერნს მართლმადიდებლობა მიაღებინეს; ხოლო ქორწილის დღეს, 1976 წლის 22 სექტემბერს აქტით ვლადიმერ კირილეს ძემ მას დიდი მთავარი, მიხეილ პავლეს ძე უწოდა და საიმპერატორო უმაღლესობის ტიტული მიანიჭა, ამრიგად, მისი შვილი, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე უკვე რომანოვად მოევლინა ქვეყანას. როგორც მისი დაბადებისადმი მიძღვნილი აქტიდან ჩანს, დედამისის უფლებები რუსეთის ტახტის მემკვიდრეობაზე არ შეცვლილა.

მე რუსეთის ტახტის ბედი კი არ მაღელვებს, არამედ სრულიად სხვა საკითხი: რა თემასაც არ უნდა ვეხებოდეთ, ქართველ საზოგადოებას არ უნდა შევკადროთ შეუმოწმებელი ინფორმაციის მიწოდება. იმედი მაქვს, რომ თუ ბატონი გურამ შარაძე თავის შემდგომ მუშაობაში კვლავაც გაითვალისწინებს ჩემს მიერ დაზუსტებულ ცნობებს, ამჯერად გულწრფელად გადამიხდის მადლობას და არა სარკასტულად.

მანანა ხოშტარია.

მთავარი რედაქტორი [illegible] აბაშიძე

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის [illegible] 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
[illegible] [illegible] [illegible]
[illegible] ქ. № 29.
ინდექსი 64434.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ